2022

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საფეხურზე არსებული გამოწვევები

კვლევის ანგარიში

კვლევა განხორციელდა „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის“ მიერ პროექტის „უკეთესი მომავლისთვის“ ფარგლებში ორგანიზაცია Brot für die Welt-ის ფინანსური მხარდაჭერით

პროექტის დირექტორი: **მარინა თოფურია**

კვლევის ანგარიშის ავტორი: **ხატია ჭანიშვილი**

კონსულტანტი იურიდიულ საკითხებში: **კოკა კიღურაძე**

რედაქტორი: **ნათია მენაბდე**

სარჩევი

შესავალი 3

მეთოდოლოგია 3

შემაჯამებელი დასკვნა 4

ძირითადი მიგნებები 5

სკოლამდელი განათლების შესახებ არსებული დოკუმენტების მიმოხილვა 9

საქართველოს კანონი ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ10

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები ... 11

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საკითხების ასახვა საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშებში 13

საქართველოში სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სფეროში ჩატარებული კვლევების/მონიტორინგის შედეგების ანალიზი 15

უსაფრთხო გარემოს შექმნა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში 16

ინფრასტრუქტურა 16

ძალადობა და მასზე რეაგირება 17

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების პერსონალის კვალიფიკაცია 18

სკოლამდელი განათლების პროგრამები და სასწავლო პროცესის უზრუნველყოფა 19

მონიტორინგი 22

სახელმწიფო სტრუქტურებიდან გამოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის ანალიზი 23

სფეროში მომუშავე ექსპერტებთან ჩატარებული სიღრმისეული ინტერვიუების ანალიზი 28

სააღმზრდელო დაწესებულებების პერსონალის დაბალი კვალიფიკაცია 29

ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ საკუთარი როლის გააზრება სკოლამდელი აღზრდის საფეხურის ფუნქციონირების პროცესთან მიმართებით 32

ინფრასტრუქტურული პრობლემები და რესურსების ნაკლებობა 35

სკოლამდელი განათლების დაწესებულებების როლისა და მნიშვნელობის აღქმა საზოგადოების მიერ 37

რეკომენდაციები 39

Challenges of Preschool Education 42

შესავალი

ნეირომეცნიერების დარგში ჩატარებული კვლევების მიხედვით, ბავშვს დაბადებიდან 6 წლამდე აქვს სწავლის/დასწავლის განსაკუთრებული უნარი.[1] ამ პერიოდში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ადრეულ განვითარებასა და განათლებაზე ზრუნვას. UNESCO-ს მიდგომით, ადრეულ განვითარებასა და განათლებაზე ზრუნვაში (ECCE) არ მოიაზრება მხოლოდ ადრეული განათლება; ესაა ჰოლისტური მიდგომა, რომელიც მიზნად ისახავს ბავშვის სოციალური, ემოციური, კოგნიტური და ფსიქიკური საჭიროებების უზრუნველყოფას.[2] UNESCO-ს ამ მიდგომას კიდევ უფრო განამტკიცებს გაერთიანებული ერების მდგრადი განვითარების მიზნები, კერძოდ, მიზანი 4.2, რომელიც ითვალისწინებს, რომ 2030 წლისთვის ყველა გოგონასა და ბიჭისთვის უზრუნველყოფილი იყოს წვდომა ხარისხიან ადრეულ განვითარებასა და სკოლამდელ განათლებაზე, რათა შემდგომში ისინი მზად იყვნენ დაწყებითი განათლებისთვის.[3]

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბავშვის ადრეულ განვითარებასა და განათლებაზე ზრუნვა და ამ მიმართულებით ხარისხიანი სერვისების შექმნა, ასევე, მათზე საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა არის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური გზა უთანასწორობის შემცირებისა და მოწყვლადი ჯგუფების დაცვისთვის. საგულისხმოა ისიც, რომ, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მიერ განხორციელებული მოსწავლეთა შეფასების საერთაშორისო პროგრამის (PISA) ანგარიშის მიხედვით, 2 წლის განმავლობაში ადრეული განათლების საფეხურით სარგებლობა ზრდის შანსს იმისა, რომ 15 წლის ასაკში მოსწავლემ მაღალ აკადემიურ შედეგს მიაღწიოს.[4]

მეთოდოლოგია

კვლევის მიზანია სკოლამდელი განათლების, როგორც საგანმანათლებლო საფეხურის, აღქმისა და კანონის/სტანდარტის აღსრულების ხელის შემშლელი ფაქტორების გამოვლენა. აღნიშნული მიზნის ფარგლებში აქცენტები დაისმება შემდეგ საკითხებზე:

1. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საფეხურის მიმართ საზოგადოების სხვადასხვაგვარი დამოკიდებულების იდენტიფიცირება არსებული ემპირიული მონაცემების გაანალიზებით;
2. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სფეროში ჩართული მხარეების (მუნიციპალიტეტების, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს)

[1] https://www.oecd.org/education/school/early-childhood-education-equity-quality-transitions-G20.pdf
[2] https://en.unesco.org/themes/early-childhood-care-and-education
[3] https://unesdoc.unesco.org/ark:/48223/pf0000245656/PDF/245656eng.pdf.multi
[4] https://www.oecd.org/education/school/early-childhood-education-equity-quality-transitions-G20.pdf

უფლებამოსილებების/ვალდებულებების შესრულების შეფასება შესაბამისი დოკუმენტების შესწავლის საფუძველზე;

3. ჩართული მხარეების უფლებამოსილებების/ვალდებულებების შესრულების/შეუსრულებლობის გავლენა სკოლამდელი განათლების მიმართ საზოგადოების დამოკიდებულების ჩამოყალიბებაზე – შეფასება.

კვლევის მეთოდად გამოყენებულ იქნა დოკუმენტების ანალიზი და ექსპერტთა ინტერვიუები.

კვლევის ფარგლებში გაანალიზდება შემდეგი დოკუმენტები

- საქართველოს კანონი ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ;
- ბოლო 5 წლის განმავლობაში სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ მომზადებული ანგარიშები სკოლამდელი განათლების ხარისხის კვლევის შესახებ;
- ბოლო 5 წლის განმავლობაში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ მომზადებული ანგარიშები სკოლამდელი განათლების ხარისხის კვლევის შესახებ;
- მუნიციპალური პროგრამები სკოლამდელი განათლების გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით.

დოკუმენტების ანალიზის შედეგად გამოვლენილი ხარვეზების დაზუსტებისა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავების მიზნით ჩატარდა 6 ინტერვიუ ადგილობრივ და საერთაშორისო ექსპერტებთან.

შემაჯამებელი დასკვნა

კვლევის შედეგების გათვალისწინებით, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საფეხურზე იკვეთება გამოწვევები, რომლებიც აფერხებს ხარისხიანი ეფექტიანი საგანმანათლებლო თუ სააღმზრდელო პროგრამების შეთავაზებას აღსაზრდელებისთვის, რაც, თავის მხრივ, ნეგატიურად აისახება შემდგომში ბავშვის განვითარებაზე. მიუხედავად წლების განმავლობაში ამ მიმართულებით გადადგმული პოზიტიური ნაბიჯებისა (კანონის მიღება ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ, სხვადასხვა სტანდარტის შემუშავება, დეცენტრალიზაციის პროცესის ხელშემწყობი ნაბიჯების გადადგმა), შედეგები აჩვენებს ხარვეზებს, რომელთა არსებობაც საგრძნობლად აფერხებს საგანმანათლებლო სისტემის საფუძვლის ეფექტიან მუშაობას და ვერ უზრუნველყოფს აღსაზრდელის სრულფასოვან მომზადებას განათლების მომდევნო საფეხურზე გადასასვლელად.

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევა, რომელიც აბრკოლებს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საფეხურის განვითარების პროცესს, არის მწირი დაფინანსება. მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალიტეტების დონეზე განათლება პრიორიტეტულ მიმართულებად არის გამოცხადებული, სკოლამდელი განათლების განვითარებისთვის გამოყოფილი თანხები მეტწილად მინიმალურია და, ძირითადად, ორიენტირებულია სახელფასო ფონდების შევსებაზე. ეს კი აჩენს საფუძვლიან ეჭვს, რომ მცირე ბიუჯეტის

პირობებშიც ვერ ხერხდება პრიორიტეტების სწორად გადანაწილება, რადგან მინიმალურია (ან საერთოდ ნულის ტოლია) სასწავლო რესურსების შესაძენად თუ ბაღის პერსონალის გადასამზადებლად გამოყოფილი თანხები. შესაბამისად, ბაღის თანამშრომლების კვალიფიკაცია არის დაბალი, პრაქტიკაში სწორი პედაგოგიური სტრატეგიების გამოყენების მნიშვნელოვანი დეფიციტია, რაც ხელს უშლის აღსაზრდელთა საჭიროებებსა და მოთხოვნილებებზე მორგებული გარემოს შექმნას.

განათლების ამ საფეხურის რეალიზების კიდევ ერთ მნიშვნელოვან გარანტიას მართვისა და მენეჯმენტის გამართული სისტემა უნდა წარმოადგენდეს, თუმცა ამ მხრივაც მნიშვნელოვანი გამოწვევები არსებობს. გამოვლენილი მონაცემებით, არ არსებობს, ან არაეფექტურია დაკვირვებისა თუ კონტროლის მექანიზმები, რომლებსაც ადგილობრივი ხელისუფლების შესაბამისი სტრუქტურები და ბაღის ადმინისტრაციის წარმომადგენლები იყენებენ; შესაბამისად, სისტემური მიდგომის დეფიციტის პირობებში ვერ ხერხდება იმ სპეციფიკური ინდიკატორების იდენტიფიცირება, რომლებიც მართლაც აფერხებს განათლების სფეროში არსებული ამოცანების მოგვარებას. მონაცემების შეგროვებისა და გაანალიზების პროცესში დაშვებული ხარვეზები (ან ამ პროცესის არარსებობა) ხელს უშლის თანამედროვე საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებასა და დანერგვას. ამ პროცესში ასევე ბარიერია კვლევითი პრაქტიკის არარსებობა მუნიციპალიტეტების მასშტაბით, რომელიც (მისი არსებობის შემთხვევაში) მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი იქნებოდა ხარისხიანი პროგრამების შექმნისა და დანერგვის საქმეში.

ზემოაღნიშნული პრობლემები (ისინი მხოლოდ ნაწილია იმ გამოწვევებისა, რომლებიც სკოლამდელი განათლების საფეხურზე არსებობს) კიდევ უფრო განამტკიცებს საზოგადოებაში ფესვგადგმულ შეხედულებას ბაღის, როგორც არა საგანმანათლებლო დაწესებულების, არამედ მხოლოდ ზრუნვისა და მოვლის ფუნქციის მქონე ინსტიტუტის, შესახებ. აღსაზრდელთა მშობლები, ბაღის პერსონალი, საზოგადოების სხვა წევრები სკოლამდელ განათლებას ვერ აღიქვამენ საგანმანათლებლო პროცესის ნაწილად; შესაბამისად, შეუძლებელი ხდება განათლების უწყვეტობის უზრუნველყოფა, რაც აფერხებს განათლების ეროვნული მიზნების მიღწევას.

ძირითადი მიგნებები

- სკოლამდელი განათლების საფეხურზე სახალხო დამცველის აპარატის მიერ ჩატარებული მონიტორინგის შედეგები (2016-2020 წწ.) ცხადყოფს, რომ წლების განმავლობაში ამ მიმართულებით პოზიტიური ცვლილებები ნაკლებად შეინიშნება. ამას ადასტურებს პრობლემების ის ჩამონათვალი, რომელიც მონიტორინგის ანგარიშებში ხშირად, წლების მიხედვით შემცირების ნაცვლად, იზრდება, ხოლო სახალხო დამცველის აპარატის მიერ მომზადებულ რეკომენდაციებს ადგილობრივი ხელისუფლება იშვიათად ითვალისწინებს.
- მიუხედავად იმისა, რომ 2005 წლიდან დღემდე სკოლამდელი განათლების საფეხურზე მონაწილეობის მაჩვენებელი საკმაოდ მზარდია, აღნიშნული ვერ განაპირობებს განათლების ამ ეტაპზე შეთავაზებული სერვისის მაღალ ხარისხს. აღნიშნული, კვლევების მიხედვით, მეტწილად დაკავშირებულია სკოლამდელი

განათლების საფეხურის გადასახადისგან გათავისუფლებასა და რეგიონებში მშობელთა დასაქმების მაჩვენებლის ზრდასთან.

- ჩართულობის მაღალი მაჩვენებლის მიუხედავად, ექსპერტთა შეფასებით, ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში სკოლამდელ განათლებაზე ხელმისაწვდომობის მაჩვენებელი დაბალია, რის გამომწვევ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად ენობრივი ბარიერი სახელდება.
- ჩატარებული კვლევებისა და შეფასებების ანგარიშების ანალიზის მიხედვით, დღემდე მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება ბაღის შენობების ინფრასტრუქტურული მდგომარეობა. საქმე ეხება არა მხოლოდ ძველ, დაზიანებულ ან არასტანდარტულ შენობებს, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ ბავშვის განვითარებისთვის საჭირო მინიმალურ მოთხოვნებს, არამედ ახალაშენებულ ნაგებობებს; ისინი უშუალოდ ბაღზეა გათვლილი, მაგრამ დარღვეულია ის პრინციპები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იყოს მსგავსი ტიპის ნაგებობის მშენებლობის პროცესში.
- საკანონმდებლო დონეზე, ე.ი. ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ კანონის შესაბამისად დამტკიცებულ ხარისხის სტანდარტებსა თუ ტექნიკურ რეგლამენტებს შორის არ არის სტანდარტი ინფრასტრუქტურის შესახებ, რომელიც, მართალია, შემუშავებულია, მაგრამ ვერ ხერხდება მისი დამტკიცება. ეს იმიტომ ხდება, რომ სტანდარტის დამტკიცების პირობებში ბაღის შენობების დიდი ნაწილი ვერ შეძლებს ამ სტანდარტითვე დაწესებული კრიტერიუმების დაკმაყოფილებას.
- გარდა ინფრასტრუქტურული გამოწვევებისა, ბაღის სივრცეში საფრთხე ექმნება აღსაზრდელის ფსიქოემოციურ მდგრადობასაც, რადგან სხვადასხვა კვლევით დასტურდება ძალადობრივი ქცევის ფაქტები. ამასთან, იშვიათი მოვლენაა სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების პერსონალის მხრიდან ბავშვთა მიმართ განხორციელებული ძალადობის ფაქტების იდენტიფიცირება და რეფერირება შესაბამის სტრუქტურებში.
- სხვადასხვა სახის გამოწვევების პირობებში (მათ შორისაა: ბავშვის განვითარების სფეროებისა და ზოგადი თემატური მიმართულებების შესახებ ცოდნის დეფიციტი, განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვებთან მუშაობისა და რთული ქცევის მართვის სტრატეგიების ცოდნის დეფიციტი, ბავშვთა მიმართ ძალადობის გამოვლენის კვალიფიკაციის დაბალი დონე, ასაკის შესაბამისი ინვენტარის არქონა და სხვ.), რომლებიც ასახულია სახალხო დამცველის აპარატის მიერ მომზადებულ მონიტორინგისა და შეფასებების ანგარიშებში, იკვეთება, რომ პასუხისმგებელი ინსტიტუტები/სტრუქტურები, განსაკუთრებით ადგილობრივი ხელისუფლება, პრიორიტეტულ საკითხად განიხილავენ ფიზიკური უსაფრთხოებისა და ჰიგიენური საკითხების კონტროლს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში, რაც უკავშირდება ბავშვის ფიზიკური უსაფრთხოებისა და ბაზისური საჭიროებების დაკმაყოფილებას; ხოლო საგანმანათლებლო და თემატურ მიმართულებებს ნაკლები ყურადღება ეთმობა, რადგან ისინი არ ექცევა პირველადი/საბაზისო საჭიროებების კატეგორიაში.
- დაბალია ბაღებში მომსახურე პერსონალის კვალიფიკაცია. სხვადასხვა კვლევის ანგარიშებზე დაყრდნობით, ამ საფეხურზე დასაქმებულთა უმრავლესობა არ

ფლობს პედაგოგიური და სააღმზრდელო საქმიანობის განხორციელებისთვის საჭირო კომპეტენციებს, რაც ხელს უშლის ბავშვის განათლების უფლების განხორციელებას, რადგან პედაგოგები თუ აღმზრდელები, უმეტეს შემთხვევაში, არ იყენებენ მართებულ პედაგოგიურ სტრატეგიებს. ეს კი ბავშვის სოციალიზაციის პროცესში ქმნის საფრთხეს იმისა, რომ შესაძლოა, პატარას ჩამოუყალიბდეს არასწორი ღირებულებითი სისტემა.

- სკოლამდელი განათლების საფეხურზე არსებული დაბალი ანაზღაურება არ არის მიმზიდველი ახალი კადრებისთვის, რაც აბრკოლებს კვალიფიციური პერსონალის შემოდინებას სფეროში. ამასთან, უნივერსიტეტების დონეზე ჯერ კიდევ მცირეა (ან არ არსებობს) შესაბამისი საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები, რომლებიც უზრუნველყოფს აკადემიური განათლების მქონე კადრების მომზადებას.
- მუნიციპალიტეტებიდან მიღებული საჯარო ინფორმაციის მიხედვით, დაბალია ბაღის თანამშრომლებისთვის პროფესიული განვითარების ტრენინგ-მოდულის მიწოდების მაჩვენებელი. გამოთხოვნილ მასალებში მითითებულია, რომ აღმზრდელების გადამზადება იგეგმება მომდევნო წლებისთვის, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, ბაღის აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტის მიხედვით, 2024 წლის 1-ლ სექტემბრამდე უნდა განხორციელდეს ისეთი აქტივობები, რომლებიც დაეხმარება ბაღში დასაქმებულებს ან დასაქმების მსურველებს, დააკმაყოფილონ სტანდარტით გაწერილი მოთხოვნები.
- მუნიციპალიტეტებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, საკმაოდ დიდია იმ აღმზრდელების რაოდენობა, რომლებსაც ბოლო სამი წლის განმავლობაში არანაირი გადამზადება არ გაუვლიათ. ხოლო ის სატრენინგო მომსახურება, რომელიც აღმზრდელებმა ან ბაღის პერსონალის წარმომადგენლებმა ბოლო წლებში მიიღეს, ძირითადად, შეთავაზებული იყო არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ სხვადასხვა პროექტის ფარგლებში. მუნიციპალიტეტები და, ზოგადად, პასუხისმგებელი სუბიექტები კი საკმაოდ იშვიათად ახორციელებენ/სთავაზობენ სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სფეროს წარმომადგენლებს მხარდამჭერ და კვალიფიკაციის ასამაღლებელ ღონისძიებებს.
- ბოლო 3 წლის განმავლობაში აღსაზრდელთა რაოდენობა შემცირების დინამიკით ხასიათდება, ხოლო სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში დასაქმებულთა რაოდენობა, უმეტესად, იზრდება.
- თითქმის არ არსებობს მუნიციპალური პროგრამები, რომელთა მიზანიც არის სკოლამდელი განათლების მომსახურების გაუმჯობესება როგორც მართვის, ასევე პროგრამების დახვეწის მიმართულებით.
- პერსონალის დაბალი კვალიფიკაციის პირობებში ვერ ხერხდება არსებული სასწავლო პროგრამების ეფექტიანად დანერგვა; აღსაზრდელები ვერ იღებენ ხარისხიან განათლებას; შესაბამისად, კვლევები ცხადყოფს, რომ სკოლამდელ განათლებაში მონაწილეობა სულაც არ არის იმის გარანტი, რომ სკოლაში სწავლისას ქართველ ბავშვებს უკეთესი შედეგები ექნებათ.
- არსებული პრობლემები კიდევ უფრო გამწვავდა პანდემიის პირობებში, როცა, კვლევების მიხედვით, ბაღებმა, ფაქტობრივად, შეწყვიტეს ფუნქციონირება, რადგან პერსონალს არ ჰქონდა მსგავს პირობებში მუშაობის არავითარი გამოცდილება.

გარდა მეთოდოლოგიური ცოდნის დეფიციტისა, არ არსებობდა ციფრული და ტექნოლოგიური მიმართულებით მუშაობის გამოცდილება, რაც შესაძლებელს გახდიდა პროცესის დისტანციურად წარმართვას. აქვე უნდა ითქვას, რომ ამ მიმართულებით მინიმალური იყო მხარდაჭერა როგორც ადგილობრივ დონეზე, ისე ცენტრალური ორგანოების მხრიდან. პანდემიის პირობებში სკოლამდელი განათლების საკითხები განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ შემუშავებულ კრიზისული მართვის გეგმაშიც ვერ მოხვდა.

- ექსპერტთა თქმით, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნაში პედაგოგიური განათლება აუცილებელი მოთხოვნა არ არის, რაც ხელს უშლის ამ თანამდებობის პირის მიერ საგანმანათლებლო დაწესებულების კონტექსტის აღქმას.
- შემუშავებული აღმზრდელ-პედაგოგთა ტრენინგ-მოდული ექსპერტთა მიერ პოზიტიურად ფასდება, მაგრამ ტრენინგის მოსმენა არ განიხილება, როგორც კვალიფიკაციის გაზრდის ერთადერთი ბერკეტი. მნიშვნელოვანია მიღებული თეორიული მასალების გადატანა პრაქტიკაში, უშუალოდ სააღმზრდელო პროცესში.
- აღმზრდელ-პედაგოგთა ტრენინგ-მოდულის რეალური პოზიტიური შედეგების გაზომვა, ექსპერტთა მიერ მისი შეფასება შესაძლებელი გახდება სწორად დაგეგმილი მონიტორინგის პროცესის საშუალებით, რომელიც მხარდაჭერაზე იქნება ორიენტირებული.
- ექსპერტთა შეფასებით, ადგილობრივ თვითმმართველობებს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების მართვის ექსკლუზიური უფლება მიენიჭა მაშინ, როცა ამისთვის მზაობა თითქმის არ არსებობდა, თუმცა მას შემდეგ განხორციელებული სხვადასხვა მხარდამჭერი პროგრამაც ამ მიმართულებით არასაკმარისია და ვერ უზრუნველყოფს ადგილობრივ დონეზე კვალიფიციური კადრების მომზადებას, რომლებიც პოზიტიურ ცვლილებებს განახორციელებენ ამ მიმართულებით.
- დაბალია მუნიციპალიტეტების ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოებში მომუშავე პირთა კვალიფიკაციაც. საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნის პროცესში გამოიკვეთა, რომ, ზოგ შემთხვევაში, ისინი არ ფლობენ კომპიუტერთან მუშაობისთვის საჭირო უნარ-ჩვევებს; ამასთან, სფეროში მომუშავე ექსპერტები მიიჩნევენ, რომ სააგენტოს თანამშრომლების კომპეტენციები არ არის საკმარისი სკოლამდელი განათლების ხარისხის გასაუმჯობესებლად.
- სფეროში მომუშავე ექსპერტთა შეფასებით, დაბალია სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტონომიურობის ხარისხი, ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მხრიდან კი არ არის წახალისებული ამ საფეხურის საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან წამოსული ინიციატივები.

სკოლამდელი განათლების შესახებ არსებული დოკუმენტების მიმოხილვა

საქართველოს მთავრობის დადგენილება N400 (2014 წლის 17 ივნისი, ქ. თბილისი) ეხება საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის „საქართველო 2020“ დამტკიცებას. აღნიშნული სტრატეგია ადამიანური რესურსების განვითარებისთვის სამ ძირითად მიმართულებას ითვალისწინებს, რომლებიც სახელმწიფოს მხრიდან რეფორმების აქტიურ განხორციელებას მოითხოვს. ეს მიმართულებებია: შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული სამუშაო ძალის განვითარება, სოციალური უზრუნველყოფის სისტემის სრულყოფა და ხარისხიანი და ხელმისაწვდომი ჯანდაცვისა და განათლების სისტემების უზრუნველყოფა.[5] დოკუმენტში აღნიშნულია, რომ საქართველოს მთავრობისათვის პრიორიტეტულია ქვეყანაში განათლების ყველა საფეხურზე (ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი) ხარისხიანი და ხელმისაწვდომი საგანმანათლებლო სისტემის ფორმირება, რადგან, ამ უკანასკნელის არარსებობის შემთხვევაში, ძნელდება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება. ამავე სტრატეგიაში ყურადღება მახვილდება სკოლამდელი განათლების როლზე ზემოაღნიშნული პრობლემების გადაჭრის პროცესში და მითითებულია ამ მიმართულებით ერთიანი ხედვისა და სისტემის ჩამოყალიბებაზე, სტანდარტების, ადამიანური რესურსების განვითარებაზე, ხარისხის მონიტორინგისა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების საჭიროებაზე. შესაბამისად, სტრატეგიის დოკუმენტში აღნიშნულია, რომ „უზრუნველყოფილი იქნება განათლების სექტორების ჰარმონიზაცია და განათლების ხელმისაწვდომობა და უწყვეტობა (სკოლამდელი-ზოგადი-პროფესიული-უმაღლესი განათლება მთელი ცხოვრების განმავლობაში), სასწავლო პროგრამების დახვეწა და განვითარება, მასწავლებელთა კორპუსის გაძლიერება“.[6]

ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ დადებული ხელშეკრულების საფუძველზე ჩვენს სახელმწიფოს აქვს აღებული ვალდებულებები. მათ შორის არის „განათლებისა და ტრენინგის სისტემების მოდერნიზება, ხარისხის გაუმჯობესება, განათლების ყველა საფეხურის რელევანტურობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა – ადრეულ ასაკში განათლებისა და მზრუნველობიდან დაწყებული, უმაღლესი განათლების ჩათვლით“. [7]

სკოლამდელი განათლების საფეხურის გაძლიერებისა და სხვადასხვა სტრატეგიაში დასახული მიზნების მიღწევის, ამასთან, აღებული ვალდებულებების შესრულების მიზნით სახელმწიფომ 2015 წლიდან დაიწყო გარკვეული აქტივობების განხორციელება. შემუშავდა და დამტკიცდა „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი (N5366-IIს), ასევე „ადრეული და სკოლამდელი განათლების

[5] http://www.economy.ge/uploads/ecopolitic/2020/sagartvelo_2020.pdf
[6] http://www.economy.ge/uploads/ecopolitic/2020/sagartvelo_2020.pdf
[7] https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959?publication=0

სახელმწიფო სტანდარტი“, „აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტი“ და „სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტი“.

საქართველოს კანონი ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ

კანონი „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოში 2016 წელს მიიღეს. ეს დოკუმენტი სკოლამდელ აღზრდასა და განათლებას განმარტავს, როგორც 2 წლის ასაკიდან ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის პირველ კლასში შესვლამდე ბავშვის ყოველმხრივი განვითარების უზრუნველსაყოფად მისთვის მიწოდებულ სააღმზრდელო და საგანმანათლებლო მომსახურებას.[8] კანონში აღნიშნულია, რომ სკოლამდელი აღზრდა და განათლება არის ნებაყოფლობითი, საყოველთაო და ხელმისაწვდომი შესაბამისი ასაკის ყველა ბავშვისთვის. ამასთან, სკოლამდელი განათლების საფეხური მოიცავს უფასო კვებას.

დოკუმენტში გაწერილი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პრინციპების დანერგვის/განხორციელების პასუხისმგებლობა, კანონმდებლობის მიხედვით, გადანაწილებულია რამდენიმე სახელმწიფო სტრუქტურაზე, კერძოდ: საქართველოს მთავრობა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, მუნიციპალიტეტები, სურსათის ეროვნული სააგენტო და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, თუმცა მათგან ყველაზე მეტი ფუნქცია-მოვალეობა ადგილობრივ ხელისუფლებას ეკისრება, რადგან ამ უკანასკნელს აქვს უფლება ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნისა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფისა,[9] ასევე ჩართულია სკოლამდელი საფეხურის საგანმანათლებლო და სააღმზრდელო პროცესის დანერგვა-მიწოდებისა და მონიტორიგის საფეხურების საქმიანობაში; ამასთან, მუნიციპალიტეტები გეგმავენ ადგილობრივ რესურსებს და განსაზღვრავენ საბიუჯეტო სახსრებსაც.

რაც შეეხება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უფლება-მოვალეობებს, კანონში აღნიშნულია, რომ ეს უკანასკნელი პასუხისმგებელია იმგვარი ჩარჩო დოკუმენტებისა და სტანდარტების შემუშავებაზე, როგორიცაა სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები, მათ შორის, სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტი, აღმზრდელის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტი, აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარების ტრენინგ-მოდულები და სხვ. კანონის მიხედვით, სამინისტრო ვალდებულია, შეიმუშაოს საჯარო დაწესებულებაში მონიტორინგის სისტემა,

[8] http://ssa.gov.ge/files/01_GEO/KANONMDEBLOBA/Sakanonmdeblo/42.pdf

[9] https://matsne.gov.ge/ka/document/view/2244429?publication=58

განახორციელოს მონიტორინგისა და შეფასების პროცესი და მოამზადოს შესაბამისი რეკომენდაციები.

გარდა ამისა, კანონი ითვალისწინებს სააღმზრდელო დაწესებულებებში საკონსულტაციო საბჭოს შექმნას, რათა უზრუნველყოფილი იყოს დაწესებულების ეფექტური მუშაობა. საკონსულტაციო საბჭოს შემადგენლობაში, კანონის მიხედვით, შედიან როგორც სააღმზრდელო დაწესებულებების აღმზრდელ-პედაგოგები, ასევე, მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები და, შესაძლოა, მოწვეული ექსპერტიც (საჭიროების შემთხვევაში). აღნიშნულ საბჭოს აქვს შესაძლებლობა, გავლენა იქონიოს სააღმზრდელო დაწესებულებების ფუნქციონირებაზე, დააკვირდეს პროცესს, მოამზადოს რეკომენდაციები და წარუდგინოს შესაბამის სამსახურებს, რათა უზრუნველყოფილი იყოს ხარისხიანი სკოლამდელი განათლების მიწოდება აღსაზრდელებისთვის.

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები

2017 წელს საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა სკოლამდელ განათლებასთან დაკავშირებული სახელმწიფო სტანდარტები და ტექნიკური რეგლამენტები, მათ შორის: ადრეული და სკოლამდელი განათლების სახელმწიფო სტანდარტი; აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტი; ადრეულ და სკოლამდელ დაწესებულებაში კვების ორგანიზების და კვებითი ღირებულების ნორმების განმსაზღვრელი ტექნიკური რეგლამენტი; ტექნიკური რეგლამენტი ადრეულ და სკოლამდელ დაწესებულებაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების შესახებ.

ამ დოკუმენტების შექმნის საჭიროება წარმოშვა კანონმა სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ და მთავრობამ ისინი გაეროს ბავშვთა ფონდის დახმარებით შეიმუშავა.

აღნიშნული სტანდარტები აერთიანებს ინფორმაციას ბავშვის განვითარების სხვადასხვა საფეხურისა და იმ ინდიკატორების შესახებ, რომლებსაც უნდა მიაღწიოს სააღმზრდელო დაწესებულებამ სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფთან მუშაობისას. სტანდარტი იძლევა დეტალურ ინფორმაციას არა მხოლოდ ბავშვის განვითარების სფეროების შესახებ, არამედ იმ თემატური მიმართულებების შესახებაც, რომლებიც „ბავშვისთვის მრავალმხრივი ინფორმაციის გადაცემასა და ასაკის შესაბამისი დარგობრივი ცოდნის დაუფლებას ითვალისწინებს“. აღსანიშნავია ისიც, რომ, სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტის მიზნების მიხედვით, სააღმზრდელო დაწესებულებამ უნდა შეუქმნას ბავშვს პოზიტიური განწყობა სწავლისადმი, ასევე განუვითაროს კითხვისა და წერის სწავლისათვის საჭირო უნარები და მათემატიკური წარმოდგენები.[10] აღნიშნული

[10]https://www.unicef.org/georgia/media/1956/file/%E1%83%90%E1%83%93%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98%20%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%97%E1%83%9

დოკუმენტი ასევე ითვალისწინებს ისეთი მიმართულებების დანერგვასა და გაძლიერებას, როგორიცაა ინკლუზიური განათლება, მშობლისა და თემის ჩართულობის გაძლიერება, უსაფრთხო გარემოს ფორმირება და სხვ. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ სკოლამდელ განათლებასთან დაკავშირებული სახელმწიფო სტანდარტები სავალდებულოა ყველა ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებისათვის (მიუხედავად მათი სამართლებრივი ფორმისა).

რაც შეეხება აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიულ სტანდარტს (რომელიც ასევე 2017 წელს დამტკიცდა), მასში აღწერილია ის მოთხოვნები და კვალიფიკაცია, რომლებიც მოეთხოვება სააღმზრდელო დაწესებულებაში დასაქმებულ აღმზრდელ-პედაგოგს. სტანდარტის მიხედვით, აღმზრდელ-პედაგოგი უნდა აკმაყოფილებდეს ერთ-ერთ შემდეგ მოთხოვნას:

ა.ა) ფლობდეს, სულ მცირე, ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებულ აკადემიურ ხარისხს ნებისმიერ მიმართულებაში/დარგში/სპეციალობაში, ჰქონდეს აღმზრდელის ან აღმზრდელ-პედაგოგის პოზიციაზე მუშაობის, სულ მცირე, 4-წლიანი გამოცდილება და გავლილი ჰქონდეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებული აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარების ტრენინგ-მოდულების საფუძველზე მუნიციპალიტეტის მიერ ორგანიზებული აღმზრდელ-პედაგოგთა გადამზადება;

ა.ბ) ჰქონდეს ბაგა-ბაღის აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების დამადასტურებელი პროფესიული დიპლომი და გავლილი ჰქონდეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებული აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარების ტრენინგ-მოდულების საფუძველზე მუნიციპალიტეტის მიერ ორგანიზებული აღმზრდელ-პედაგოგთა გადამზადება.[11]

გასათვალისწინებელია ისიც, რომ სტანდარტი სააღმზრდელო დაწესებულებებსა და მათში დასაქმებულ ინდივიდებს აძლევს საშუალებას, 2024 წლის 1-ლ სექტემბრამდე განახორციელონ აქტივობები, რომლებიც დაეხმარება მათ, დააკმაყოფილონ სტანდარტით გაწერილი მოთხოვნები. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, სააღმზრდელო დაწესებულებებს და ამ დაწესებულებებში დასაქმებულებს ჰქონდათ 6 წელზე მეტი ხანი იმისთვის, რომ უზრუნველეყოთ სკოლამდელი განათლების დაწესებულებების გარემოსა და იქ დასაქმებული პერსონალის თანხვედრა არსებულ სახელმწიფო სტანდარტთან. დღეის მონაცემებით კი აღნიშნულ ვადამდე მხოლოდ 3 წელზე ნაკლები რჩება.

A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A2%E1%83%98.pdf

[11] https://www.unicef.org/georgia/media/1071/file

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საკითხების ასახვა საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშებში

საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ საქართველოს სახალხო დამცველის 2016-2020 წლის ანგარიშებში განხილულია ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების წინაშე არსებული გამოწვევები თუ მიღწევები. წლების მიხედვით გამოცემული ანგარიშები რომ შევაჯამოთ, 2016-2020 წლებში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი ყოველწლიურად ჩატარებული მონიტორინგის საფუძველზე ამზადებს დასკვნებს, თუ რა პრობლემები არსებობს/არსებობდა სააღმზრდელო დაწესებულებებში; ასევე, შეიმუშავებს რეკომენდაციებს პასუხისმგებელი სტრუქტურებისთვის. საყურადღებოა, რომ 2016 წლიდან სახალხო დამცველის მიერ გაცემული რეკომენდაციები პასუხისმგებელი სტრუქტურებისა და განსაკუთრებით ადგილობრივი თვითმმართველობების მიმართ თითქმის იდენტურია და მათი მხრიდან მიწოდებული რეკომენდაციების შესრულება ყოველწლიურად ფასდება არადამაკმაყოფილებლად; კერძოდ, 2016 წლიდან 2020 წლის ჩათვლით, ყველა ანგარიშში სკოლამდელი აღზრდის საფეხურზე ძირითად გამოწვევებად სახელდება:

- დაწესებულებების ინფრასტრუქტურული პრობლემები;
- აღმზრდელთა კვალიფიკაცია;
- უსაფრთხო გარემოს შექმნა და ძალადობის პრევენცია;
- დაწესებულებებში სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების მოწესრიგების საკითხი.

მართალია, ზემოაღნიშნულ ანგარიშებში სახალხო დამცველი გამოკვეთს სხვადასხვა მიღწევასა თუ წარმატებულ ქეისს (კანონისა და სტანდარტების შექმნა-დამტკიცება) განათლების ამ საფეხურზე, უსაფრთხო და ინკლუზიური გარემოს პრაქტიკაში განხორციელება ამ ეტაპზე, ამავე დოკუმენტის მიხედვით, მაინც ვერ ხერხდება. ამის რამდენიმე მიზეზი არსებობს: ერთი მხრივ, მუნიციპალიტეტი არ ითვალისწინებს სახალხო დამცველის რეკომენდაციებს და არ ატარებს კვლევებს ამ მიმართულებით საჭიროებების გამოსავლენად; მეორე მხრივ, პასუხისმგებელი სტრუქტურები ვერ ახერხებენ ეფექტური მონიტორინგისა და ზედამხედველობის განხორციელებას.[12]

მაგალითად, 2020 წლის ანგარიშში აღნიშნულია, რომ უშუალოდ ადრეული და სკოლამდელი განათლების შესახებ გაცემული 5 რეკომენდაციიდან მუნიციპალიტეტებმა არცერთი არ გაითვალისწინეს (რამდენიმე მუნიციპალიტეტის გარდა, რაც არ ცვლის

[12] https://www.ombudsman.ge/res/docs/2020040215365449134.pdf

საერთო სურათს და არის საერთო ტენდენციის გამონაკლისი).[13] აღნიშნული რეკომენდაციები მეტწილად ეხებოდა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა:

- ინკლუზიური განათლების მიმართულებით სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების საჭიროებების შესწავლა და შედეგების ფინანსურ გეგმაში გათვალისწინება;
- საბავშვო ბაღში დასაქმებული პირებისთვის პროფესიული გადამზადების სერვისის მიწოდება;
- სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში ადამიანური რესურსის გასაზრდელად ფინანსების გამოყოფა;
- სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების დირექტორის საკვალიფიკაციო და პერსონალის პროფესიული სტანდარტების დადგენა;
- მონიტორინგის განხორციელება ადრეული და სკოლამდელი განათლების საფეხურზე რელიგიური ნეიტრალობის დაცვის მიზნით.

დაახლოებით მსგავსი იყო 2019 წლის მონაცემებიც ამ მიმართულებით. ანგარიშში აღნიშნულია, რომ მუნიციპალიტეტებისთვის სახალხო დამცველის მიერ გაცემული იყო 6 რეკომენდაცია. პოზიტიური ცვლილებები შეინიშნება მხოლოდ ერთ-ერთის შესრულების პროცესში, რომელიც ეხებოდა სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში ქართული ენის სწავლებას. აღსანიშნავია, რომ 2019 წლის ანგარიშში თითქმის იგივე რეკომენდაციებია განხილული, რაც 2020 წლისაში, რაც იძლევა ვარაუდის საფუძველს, რომ მუნიციპალიტეტები, მეტწილად, არ ითვალისწინებენ სახალხო დამცველის მიერ გაცემულ რეკომენდაციებს, რომლებიც ეხება ადრეული და სკოლამდელი განათლების საფეხურს.

აღსანიშნავია, რომ, გარდა საპარლამენტო ანგარიშებისა, სახალხო დამცველის აპარატმა 2020 წელს გამოაქვეყნა სპეციალური ანგარიში სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების მონიტორინგის შედეგების შესახებ, რომელშიც აღნიშნულია, რომ, წინა წლებთან შედარებით, პოზიტიური ცვლილებები შეინიშნება აღსაზრდელთა ჯანსაღი და დაბალანსებული კვების, ასევე, სპეციალური კვებითი საჭიროებების კუთხით.[14] ზოგადად, აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტი ატარებს სააღმზრდელო დაწესებულებების მონიტორინგს, ძირითადად, ტექნიკური საკითხების შესახებ, რაც მოიცავს წყლის, სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობისა და კვების ხარისხის შემოწმებას. რაც შეეხება შინაარსობრივ ნაწილს, სწორედ ამ მხრივ იკვეთება ძირითადი გამოწვევები, რაც გულისხმობს ბავშვის განვითარების სფეროებსა და ზოგად თემატურ მიმართულებებს, განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვებთან მუშაობას, რთული ქცევის მართვას, ბავშვთა მიმართ ძალადობის გამოვლენას, ასაკის შესაბამისი ინვენტარის ქონას. ანგარიშში აღნიშნულია, რომ სკოლამდელი განათლების დაწესებულებები გარკვეული პრობლემების გამო ვერ ახერხებენ, ეფექტურად წარმართონ სააღმზრდელო პროცესი, რაც, საბოლოო ჯამში, ხელს უშლის ბავშვების მიერ სრულფასოვანი განათლების მიღებას.

[13] https://www.ombudsman.ge/res/docs/2021040110573948397.pdf
[14] https://www.ombudsman.ge/res/docs/2020090917221771342.pdf

ზემოაღნიშნული დასკვნები გვაძლევს საფუძველს, ვივარაუდოთ, რომ პასუხისმგებელი ინსტიტუტები/სტრუქტურები, განსაკუთრებით – მუნიციპალიტეტები, პრიორიტეტულ საკითხად მოიაზრებენ და აკონტროლებენ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში ფიზიკურ უსაფრთხოებასა და სანიტარიულ-ჰიგიენურ მდგომარეობას, როგორც პირველად აუცილებლობას ბავშვის ბაზისური საჭიროებების დაკმაყოფილების საქმეში, რაც გულისხმობს წვდომას სუფთა წყალსა და ჯანსაღ საკვებზე; საგანმანათლებლო და თემატურ მიმართულებებს კი ნაკლები ყურადღება ეთმობა, რადგან ისინი არ ექცევა პირველადი/საბაზისო საჭიროებების კატეგორიაში. ამგვარი მიდგომა ვერ ჩაითვლება ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვად; ეს კი, თავის მხრივ, აბრკოლებს ბავშვის მრავალმხრივი განვითარების პროცესს, რაც მიგვანიშნებს ბავშვის უფლებების კოდექსის[15] დარღვევაზე, რადგან, კოდექსის მე-10 მუხლის პირველი და მეორე ქვეპუნქტების მიხედვით, ყველა ბავშვს აქვს ხარისხიანი და ინკლუზიური განათლების მიღების, მასზე თანაბარი ხელმისაწვდომობის უფლება, რის განხორციელებაც სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს.

საქართველოში სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სფეროში ჩატარებული კვლევების/მონიტორინგის შედეგების ანალიზი

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მიმართულებით საქართველოში არცთუ ისე ბევრი კვლევა ჩატარებულა. გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ 2020 წელს გამოქვეყნებულ ანგარიშში „ადრეული განვითარება და განათლება საქართველოში“ აღნიშნულია, რომ, 2018 წლის მონაცემებით, ადრეული ასაკის ბავშვთა პროგრამებში ჩართულობის ხარისხი მნიშვნელოვნად გაიზარდა და შეადგენს 78%-ს, მაშინ, როცა 2005 წელს ეს მაჩვენებელი მხოლოდ 45% იყო. ამავე ანგარიშზე დაყრდნობით, შეგვიძლია, ვთქვათ, რომ ბავშვის სკოლამდელ განათლებაში მონაწილეობა დამოკიდებულია ისეთ ფაქტორებზე, როგორიცაა ბავშვის ასაკი, მშობლის განათლება, საცხოვრებელი ადგილი, ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და სხვ. მაგალითისთვის, „საბაზო განათლების მქონე დედების შვილებში სკოლამდელ განათლებაში მონაწილეობის მაჩვენებელი 51%-ია. ეს მაჩვენებელი 84% და 85%-ს აღწევს პროფესიული და უმაღლესი განათლების მქონე დედებში“.[16]

მიუხედავად სკოლამდელ განათლებაში ბავშვების მონაწილეობის მზარდი მაჩვენებლისა, განათლების ამ საფეხურზე არაერთი სირთულე შეინიშნება. არსებული ემპირიული მონაცემების გაანალიზების შემდეგ შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე ძირითადი მიმართულება, რომლებიც მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგას, კერძოდ:

[15] https://matsne.gov.ge/ka/document/view/4613854?publication=2
[16] https://www.unicef.org/georgia/media/5801/file/early_development_and_education.pdf

- უსაფრთხო გარემოს შექმნა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში;
- სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების პერსონალის კვალიფიკაცია;
- საგანმანათლებლო პროგრამები;
- მონიტორინგი.

უსაფრთხო გარემოს შექმნა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში

ინფრასტრუქტურა

საქართველოში სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში რომ საკმაოდ რთული ინფრასტრუქტურული მდგომარეობაა, ამაზე არაერთი კვლევის ანგარიში მიუთითებს. სახალხო დამცველის სპეციალურ ანგარიშში „სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების მონიტორინგის შედეგები“ ვკითხულობთ, რომ ბაღების ინფრასტრუქტურული მდგომარეობა საკმაოდ მძიმეა. დაწესებულებების უმეტესობას სჭირდება რემონტი, ელექტროგაყვანილობის შეცვლა, გათბობის სისტემის დამონტაჟება, რადგან არსებული მდგომარეობა არ შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და ვერ ქმნის ბავშვებისთვის უსაფრთხო გარემოს. ამასთან, თბილისის, ქუთაისის, რუსთავისა და ფოთის მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მართვის აუდიტის ანგარიშში აღნიშნულია, რომ ზემოაღნიშნულ მუნიციპალიტეტებში 2014-2019 წლებში ახალი ბაღების მშენებლობაში დახარჯულია 43,999.4 ათასი ლარი, ხოლო არსებული ბაღების რეაბილიტაციაზე – 5,591.2 ათასი ლარი, თუმცა მათი ინფრასტრუქტურა არ შეესაბამება მოქმედ სტანდარტებს. აუდიტის დასკვნა ყურადღებას ამახვილებს მენეჯმენტის მხრიდან სტანდარტების მიმართ არასათანადო დამოკიდებულებაზე, რადგან ახალი შენობებიც სრულად არ შეესაბამება არსებულ სტანდარტს. საბოლოოდ, აუდიტის დასკვნაში აღნიშნულია, რომ „2014-2019 წლებში მუნიციპალიტეტების მხრიდან ინფრასტრუქტურის განვითარებაზე განხორციელებული ღონისძიებები, მიწოდებული სერვისის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, არასაკმარისია და ვერ უზრუნველყოფს დასახული მიზნის მიღწევას“.[17]

---

17 https://www.sao.ge/Uploads/2021/6/%E1%83%97%E1%83%91%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%98,%20%E1%83%A5%E1%83%A3%E1%83%97%E1%83%90%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%98,%20%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%97%E1%83%90%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%90%20%E1%83%93%E1%83%90%20%E1%83%A4%E1%83%9D%E1%83%97%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%93%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98%20%E1%83%90%E1%83%A6%E1%83%96%E1%83%A0%E1%83%93%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%94%E1%83%A4%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%90%E1%83%A3%E1%83%93%E1%83%98%E1%

საყურადღებოა ისიც, რომ ინფრასტრუქტურული საჭიროებების დაკმაყოფილება კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდა პანდემიის პირობებში. საერთაშორისო ასოციაცია „კივიტას გეორგიკას“ მიერ მომზადებულ ანგარიშში „პანდემიის გავლენა სკოლამდელ განათლებაზე საქართველოში“[18] გამოიკვეთა, რომ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში ხშირად პრობლემას წარმოადგენდა წყლის მიწოდებისა და სავენტილაციო სისტემების გაუმართაობა, ამასთან, უმეტესად, მოუწესრიგებელია შენობების ეზოები, რომლებიც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს COVID-19-ის გავრცელების პირობებში, რადგან ეზო არის გარე სივრცე, სადაც ბენეფიციარები შეიძლება მეტად დაცული იყვნენ ვირუსის გავრცელებისგან.

ძალადობა და მასზე რეაგირება

კვლევების მიხედვით, საქართველოში ძალადობრივი აღზრდის მეთოდები საკმაოდ გავრცელებულია. გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ 2020 წელს გამოქვეყნებული ანგარიშის „ბავშვის აღზრდის პრაქტიკა საქართველოში“ მიხედვით 1-14 წლის ბავშვების 70%-ს გამოუცდია ძალადობრივი აღზრდის მეთოდების, სულ მცირე, ერთი ფორმა მაინც, 66%-ს – ფსიქოლოგიური აგრესია, ხოლო 31%-ს – ფიზიკური დასჯა.[19] ამ პირობების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის“ მიერ ჩატარებული კვლევის „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების“ აღსრულების პროცესის შეფასება“[20] შედეგები, რომელთა მიხედვითაც, ბაგა-ბაღების გაერთიანებებისა და სკოლამდელი განათლების დაწესებულებათა წარმომადგენლების უმეტესობას არ აქვს გავლილი გადამზადების კურსი ბავშვთა დაცვის საკითხებზე. კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, მუნიციპალიტეტების, ბაგა-ბაღების გაერთიანებებისა და, შესაბამისად, საბავშვო ბაღების დონეზე ძალადობის გამოვლენის შემთხვევები იშვიათია და მათზე რეაგირება, უმეტეს შემთხვევაში, არ ხდება, რაც გამოწვეულია ინფორმირებულობის დაბალი დონით; თანაც, პასუხისმგებელი სტრუქტურები სათანადო ძალისხმევას არ ახმარენ აღნიშნული მიმართულების გაძლიერებას. აქედან გამომდინარე, კვლევის ანგარიშში საკმაოდ მრავლად მოიძებნება კონკრეტული შემთხვევები, როგორ დარჩნენ ძალადობის მსხვერპლი ბავშვები საზოგადოების ყურადღების მიღმა და როგორ დაირღვა მათი უფლებები. გარდა ამისა, სახალხო დამცველის სპეციალურ ანგარიშში ვკითხულობთ: „აღმზრდელების აბსოლუტური უმრავლესობა (94.9%) აცხადებს, რომ არასდროს შეუნიშნავს ბავშვის მიმართ რაიმე ფორმით ძალადობის შემთხვევა, რაც, წესით, დადებითი მაჩვენებელი უნდა იყოს. თუმცა, სავარაუდოდ, ასეთი მაღალი მაჩვენებელი აღმზრდელებისა და საბავშვო ბაღის სხვა თანამშრომლების მიერ ძალადობის სხვადასხვა

83%A2%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%98.pdf

[18] http://www.civitas.ge/files/photos/Civitac_%E1%83%99%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%95%E1%83%90_Covid-19_final.pdf

[19] https://www.unicef.org/georgia/media/5516/file/Discipline_Report_GE.pdf

[20] https://drive.google.com/file/d/1Xu8XkVr7ID0WKZkW5U60YnwYyK39Znrq/view?fbclid=IwAR3LTM4vE-JeQJ9gbxY35KljeoWHLtnqU3M-jiMzf5ibOnn8TFgTqv9pBow

ფორმის შეფასებისა და გამოვლენის უნარ-ჩვევების ნაკლებობითაც არის განპირობებული. ეს წარმოშობს რისკსაც, რომ აღსაზრდელი, შესაძლოა, თავად საბავშვო ბაღის პერსონალისგან გახდეს რაიმე ფორმით ძალადობის მსხვერპლი“.[21]

საბოლოო ჯამში, მიმოხილული ფაქტები და სტატისტიკური ინფორმაცია გვაძლევს საფუძველს, დავასკვნათ, რომ საბავშვო ბაღებში ბავშვი არ არის დაცული ძალადობისგან და, უმეტეს შემთხვევაში, პერსონალი არ ხელმძღვანელობს აღსაზრდელის საუკეთესო ინტერესებით.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების პერსონალის კვალიფიკაცია

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ერთიანი სტრატეგიის დოკუმენტში (2017-2021) ვკითხულობთ, რომ „ბაღის მასწავლებელთა საშუალო ასაკი 40-დან 47 წლამდეა. მათგან მხოლოდ 32,2%-ს აქვს უმაღლესი განათლება სკოლამდელი განათლების სფეროში, 35,4%-ს – პროფესიული, ხოლო 32%-ს არ აქვს ამ დარგში განათლება. აღმზრდელ-პედაგოგთა 40%-ს არ აქვს გავლილი არანაირი ტრენინგი და საწყისი განათლება ათწლეულების წინ აქვს მიღებული.[22] ამასთან, გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ მომზადებულ ანგარიშში „საქართველოში სკოლამდელი განათლების ხარისხის კვლევის“ შესახებ ვკითხულობთ, რომ დირექტორთა 50% არ ფლობს ბავშვთა ადრეულ აღზრდასა და განათლებასთან დაკავშირებულ განათლებას. დოკუმენტში ასევე აღნიშნულია, რომ უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში სკოლამდელი დაწესებულების პერსონალის დიდ ნაწილს არ გაუვლია არანაირი ტრენინგი.[23] აქვე უნდა ითქვას, რომ სახალხო დამცველის სპეციალურ ანგარიშში ყურადღება მახვილდება სკოლამდელი დაწესებულებების პერსონალის მიერ გავლილ სატრენინგო საკითხებზედაც. აღსანიშნავია, რომ, ანგარიშის მიხედვით, მონიტორინგში ჩართულ დასაქმებულთა 50.2%-მა გადამზადება მხოლოდ სააღმზრდელო მეთოდიკასთან დაკავშირებით გაიარა. არაერთი კვლევის ანგარიში კი მიუთითებს იმაზე, რომ სკოლამდელი დაწესებულებების წარმომადგენლები ვერ ახერხებენ მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გადატანას და სწორედ ამ მიმართულებით სჭირდებათ დახმარება, რადგან აღმზრდელები ყურადღებას, უმეტესწილად, ამახვილებენ იმ კონკრეტული აქტივობების „ბრმად“ განხორციელებაზე, რომლებიც მაგალითების სახით არის შემოთავაზებული დამხმარე სახელმძღვანელოებში და არ აქვთ გაცნობიერებული ის პედაგოგიური მიდგომები, რომლებსაც საგანმანათლებლო სტანდარტები და კურიკულუმი ეფუძნება.

---

[21] https://www.ombudsman.ge/res/docs/2020090917221771342.pdf
[22] https://mes.gov.ge/uploads/MESStrategy_2017-2021.pdf
[23] https://www.unicef.org/georgia/media/1231/file/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A8%E1%83%98%20%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%93%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98%20%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%97%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%AE%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%99%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%95%E1%83%90.pdf

ზემოაღნიშნულ დასკვნას კიდევ უფრო ამყარებს „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის“ მიერ 2021 წელს ჩატარებული კვლევის შედეგები. კვლევა ეხებოდა გენდერული სოციალიზაციის პროცესში იმ ფაქტორების გამოვლენას, რომლებიც დადებით ან ნეგატიურ გავლენას ახდენს ბიჭებისა და გოგონების ჩართულობაზე არაფორმალურ აქტივობებში. კვლევის ანგარიშში მითითებულია[24], რომ, ბაღების აღმზრდელთა და მშობელთა აზრით, საბავშვო ბაღის გარემო დაცლილია გენდერული სტერეოტიპებისგან. ამის პარალელურად, ბაღის აღმზრდელთა ნაწილი მიიჩნევს, რომ, ბავშვის მიერ დევიაციური ქცევის გამოვლენის შემთხვევაში (ბიჭებში – ფემინურობის და გოგონებში მასკულინური მახასიათებლების აღმოჩენისას), განათლების სისტემა უნდა ზრუნავდეს ამ თვისებების დათრგუნვაზე კონკრეტული მექანიზმებით, მაგალითად, სპეციალისტის ინდივიდუალური მუშაობით. ასევე მნიშვნელოვნად მიიჩნევენ საგანმანათლებლო მექანიზმების არსებობას (სპეციალური კურიკულუმები, მულტიდისციპლინური გუნდის გაძლიერებული მუშაობა და სხვ.), რომელთა დახმარებითაც ბავშვი გაითავისებს საზოგადოების მიერ დაწესებულ სოციალურ ნორმებს. კვლევაშივე აღნიშნულია, რომ მსგავსი დამოკიდებულებების იდენტიფიცირება გვაძლევს საფუძველს, ვივარაუდოთ, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებათა პედაგოგების ნაწილს არ გაუთავისებია ის ღირებულებები, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მოსწავლის/აღსაზრდელის ჩამოყალიბების პროცესზე.

სკოლამდელი განათლების პროგრამები და სასწავლო პროცესის უზრუნველყოფა

ბოლო წლების განმავლობაში ბევრი მკვლევარი იკვლევს სკოლამდელი განათლების მნიშვნელობასა და მის როლს ბავშვის განვითარების პროცესში. აღნიშნული კვლევები მეტწილად ადასტურებს, რომ ამ მიმართულებით შეთავაზებული პროგრამები შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლადი გახდეს ბავშვის განვითარების პროცესში. თუმცა, თბილისის, ქუთაისის, რუსთავისა და ფოთის მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მართვის აუდიტის ანგარიშში აღნიშნულია, რომ 2016 წლამდე სკოლამდელი განათლება, ძირითადად, ორიენტირებული იყო ბავშვის მოვლაზე და ყურადღება არ ექცეოდა განათლების კომპონენტს. ანგარიშში ასევე ვკითხულობთ, რომ „ზოგადი განათლების არადამაკმაყოფილებელი ხარისხის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზია დაბალი სასკოლო მზაობა“.[25] ჩატარებული კვლევების

[24] https://drive.google.com/file/d/1nuDu-ipI-cfDO_Zs2hQM1vxi_1WZgZsA/view

[25] https://www.sao.ge/Uploads/2021/6/%E1%83%97%E1%83%91%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%98,%20%E1%83%A5%E1%83%A3%E1%83%97%E1%83%90%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%98,%20%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%97%E1%83%90%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%90%20%E1%83%93%E1%83%90%20%E1%83%A4%E1%83%9D%E1%83%97%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%93%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98%20%E1%83%90%E1%83%A6%E1%83%96%E1%83%A0%E1%83%93%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%94%E1%83%A4%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%

მიხედვით, შეგვიძლია, გამოვყოთ რამდენიმე ფაქტორი, რაც კიდევ უფრო განამტკიცებს ზემოაღნიშნულ დასკვნას: გარდა იმისა, რომ დაბალია ბაღებში დასაქმებულთა კვალიფიკაცია, მათ, ხშირ შემთხვევაში, არ აქვთ ინფორმაცია არსებული კურიკულუმებისა და სტანდარტების შესახებ. არაერთი კვლევა მიუთითებს იმაზე, რომ ადმინისტრაციის წარმომადგენლები და აღმზრდელები ბრმად მიჰყვებიან შეთავაზებულ პროგრამებს, სახელმძღვანელოებს, რაც პროცესს არაეფექტურს ხდის. ამ მიმართულებით პერსონალს ტრენინგებს არც პასუხისმგებელი სტრუქტურები სთავაზობენ. შესაბამისად, არ ხდება სახელმძღვანელოებისა თუ კურიკულუმების ადაპტირება კონკრეტულ თემსა თუ ჯგუფზე; მეტიც, ზოგჯერ აღმზრდელებს უჭირთ სახელმძღვანელოებში მოცემული ინფორმაციის გადატანა პრაქტიკაში, რის ერთ-ერთი ხელის შემშლელი ფაქტორი, შესაძლოა, იყოს მათი სტერეოტიპული დამოკიდებულება სხვადასხვა საკითხთან. „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის“ მიერ ჩატარებული კვლევის ანგარიშში „გენდერული სოციალიზაციის პროცესი – არაფორმალურ აქტივობებში გოგონებისა და ბიჭების ჩართულობაზე გავლენის მქონე ფაქტორები“[26] აღმზრდელები საუბრობენ თემატურ სწავლებაზე, რაც, მათი აზრით, გამორიცხავს გენდერული ნიშნით აღსაზრდელების დაყოფასა და დისკრიმინაციას. მაგალითისთვის მოჰყავთ ბავშვები, რომლებიც, განურჩევლად მათი სქესისა, თამაშობდნენ იმ სათამაშოებით, საზოგადოების მიერ რომ იდენტიფიცირდება, როგორც კონკრეტულად რომელიმე სქესისთვის დამახასიათებელი ატრიბუტი (ვთქვათ, თოჯინა – გოგონასთვის და მანქანა – ვაჟისთვის). ანგარიშში აღნიშნულია, რომ, აღმზრდელების თქმით, მათ არ აქვთ უფლება, ბავშვებს აუკრძალონ კონკრეტული ნივთით თამაში, თუმცა, აქვე მიუთითებენ, რომ უნდა მისცენ მიმართულება საკუთარ აღსაზრდელებს, რათა მათ სწორი არჩევანი გააკეთონ. ამის საფუძველზე, ანგარიშში გამოთქმულია ვარაუდი, რომ მასწავლებლები ხელს უწყობენ სკოლამდელ დაწესებულებებში გენდერული სტერეოტიპების განმტკიცებას, რადგან ხსენებულ „სწორ არჩევანში“, უმეტეს შემთხვევაში, ისინი მოიაზრებენ საზოგადოების მიერ დაწესებულ ნორმებს, რომლებიც მეტწილად სწორედ სტერეოტიპებით არის ნაკარნახევი; შესაბამისად, პროგრამები, რომლებიც აღსაზრდელთა სწორი ღირებულებებისა და ფასეულობების ჩამოყალიბებისკენ არის მიმართული, პრაქტიკაში მოსალოდნელ პოზიტიურ შედეგებს არ იძლევა.

გარდა ამისა, ბაღების რესურსები ძალიან მწირია, რაც უარყოფითად აისახება ბავშვის ინტელექტუალურ, სოციალურ და კოგნიტურ განვითარებაზე. დამკვიდრებულია ერთგვარი პრაქტიკა, რომ წიგნებით, სახატავი ფანქრებით, სათამაშოებით აღსაზრდელი მშობელმა ან აღმზრდელმა უნდა უზრუნველყოს, რადგან მსგავსი მასალებისთვის ბიუჯეტი ძალიან მცირეა. სკოლამდელი განათლების ხარისხის კვლევის ანგარიშში მითითებულია, რომ, 56 მუნიციპალიტეტიდან გამოთხოვნილი მონაცემების მიხედვით, ამ მუნიციპალიტეტების 62.5% 10 ლარზე ნაკლებს ხარჯავს თითო ბავშვზე ყოველ წელს საგანმანათლებლო რესურსების შესაძენად; ზოგიერთი მუნიციპალიტეტის შემთხვევაში

E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%90%E1%83%A3%E1%83%93%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%98.pdf

[26] https://drive.google.com/file/d/1nuDu-ipI-cfDO_Zs2hQM1vxi_1WZgZsA/view

კი ეს თანხა 1 ლარზე ნაკლებსაც შეადგენს. რაც შეეხება აუდიტის დასკვნას, მასში ნათქვამია, რომ „სათამაშოებისა და საბავშვო წიგნების შეძენაში ყველაზე დიდი თანხა, 475.6 ათასი ლარი, დახარჯულია თბილისის ბაღებში, თუმცა ბაღების ჯამურ დაფინანსებაში მისი წილი მცირეა და 0.08%-ს შეადგენს“. კვლევის „ადრეული განვითარება და განათლება საქართველოში“ ანგარიშში აღნიშნულია, რომ საბავშვო წიგნების არსებობა მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული ბავშვის წიგნიერებისა და სოციალურ-ემოციური განვითარების მაჩვენებელთან. 3-ზე მეტი წიგნის მქონე ბავშვები ორჯერ მაღალი ალბათობით აღწევენ წიგნიერების და სოციალურ-ემოციური განვითარების მაღალ ნიშნულებს, ვიდრე მათი თანატოლები, რომლებსაც მხოლოდ 3 ან ნაკლები წიგნი აქვთ შინ. 2018 წლის მონაცემებით კი, 3-5 წლის ასაკის ბავშვების 33%-ს შინ საბავშვო წიგნები არ აქვს. ამავე ანგარიშში აღნიშნულია, რომ, რამდენადაც კარგად დაგეგმილი და დანერგილი ხარისხიანი პროგრამები პოზიტიურად მოქმედებს ბავშვის განვითარებაზე, იმდენად დაბალი ხარისხის პროგრამები ან ვერანაირ ზეგავლენას ვერ ახდენს ამ პროცესზე, ან, უარეს შემთხვევაში, ნეგატიურადაც მოქმედებს აღსაზრდელებზე. ამის მაგალითია კვლევის შედეგებიც, რომელთა მიხედვითაც, „საქართველოში მეოთხე კლასელი მოსწავლეების წიგნიერებისა და მათემატიკასა და საბუნებისმეტყველო საგნებში მოსწავლეების მიღწევების შეფასებები აჩვენებს, რომ ამ კვლევებში მონაწილე ქვეყნების დიდი ნაწილისგან განსხვავებით, სკოლამდელ განათლებაში მონაწილეობა არ ითარგმნება ქართველი მოსწავლეების უკეთეს სწავლის შედეგებში“.[27]

PIRLS/ePIRLS-ის 2016 წლის ანგარიშში „წიგნიერება: მეოთხე კლასელთა მიღწევები და მათზე მოქმედი ფაქტორები“ აღნიშნულია, რომ სკოლის მიღწევებზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს სკოლამდელი განათლების სავალდებულო თუ არასავალდებულო ხასიათსა და საბავშვო ბაღში გატარებული წლების რაოდენობას. აღსანიშნავია ისიც, რომ სკოლამდელი განათლება (საბავშვო ბაღში სიარული) წიგნიერებაზე მოქმედ ფაქტორებს შორის ერთ-ერთია. ანგარიშში ასევე აღნიშნულია, რომ კვლევების მიხედვით საერთაშორისო მასშტაბით მეოთხე კლასში წიგნიერების მაღალი მაჩვენებელი პირდაპირპროპორციულია საბავშვო ბაღში გატარებული წლების რაოდენობასთან. ამასთან, „2016 წლის მონაცემებით, საქართველოში მოსწავლის მიღწევაზე მხოლოდ ბაღში სიარულის გამოცდილება მოქმედებს და არა საბავშვო ბაღში გატარებული წლების რაოდენობა. კერძოდ, თუ ბავშვი რამდენიმე თვე მაინც დადიოდა ბაღში, მეტია ალბათობა, რომ უფრო მაღალი შედეგი ჰქონდეს წიგნიერებაში მეოთხე კლასში იმ ბავშვებთან შედარებით, რომლებსაც საერთოდ არ აქვთ სკოლამდელი განათლების დაწესებულებაში ყოფნის გამოცდილება“. ნიშანდობლივია ისიც, რომ, თუ სწავლების ენას გავითვალისწინებთ, აღმოვაჩენთ, რომ აზერბაიჯანული სექტორის მოსწავლეთა უმრავლესობას (80.66%) საერთოდ არ უვლია საბავშვო ბაღში მაშინ, როდესაც ქართულ სექტორზე ეს მაჩვენებელი მხოლოდ 12.2%-ს შეადგენს.[28]

---

[27] https://www.unicef.org/georgia/media/5801/file/early_development_and_education.pdf

[28] https://naec.ge/uploads/postData/KVLEVEBI/PIRLS%202016%20%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%95%E1%83%9C%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98%20%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%98.pdf

მოგეხსენებათ, 2020 წელს პანდემიის პირობების გამო ბევრი დაწესებულება გადავიდა დისტანციურ მუშაობაზე. მათ შორის იყო საბავშვო ბაღებიც. კვლევის „პანდემიის გავლენა სკოლამდელ განათლებაზე საქართველოში“[29] ანგარიშში აღნიშნულია, რომ აღსაზრდელებისთვის შეთავაზებული პროგრამები იყო მინიმალური; აღმზრდელების 92%-ის თქმით, მათ არ მიუღიათ არანაირი დახმარება დისტანციური სწავლების განსახორციელებლად. კვლევის შედეგების მიხედვით, აღმზრდელთა მხოლოდ 4%-მა მიიღო დამხმარე მეთოდური მასალა და კონსულტაციები. საბოლოოდ, შედეგებზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ აღმზრდელების დიდ ნაწილს არ ესმოდა დისტანციური განათლების არსი და არც იმ სტრატეგიებსა და მეთოდოლოგიაზე ჰქონდა ინფორმაცია, რა ფორმით უნდა წარმართულიყო ეს პროცესი. ასეთ პირობებში კი ამ პროცესის განხორციელებაზე პასუხისმგებლობა, ძირითადად, მთლიანად ბაღის ადმინისტრაციასა და აღმზრდელებს ეკისრებოდათ. ამის პარალელურად, აღსანიშნავია ისიც, რომ პანდემიის პირობებში სკოლამდელი განათლების საკითხები განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ შემუშავებულ კრიზისული მართვის გეგმაშიც ვერ მოხვდა.

მონიტორინგი

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ კანონის მიხედვით, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სფეროში მუნიციპალიტეტებმა უნდა უზრუნველყონ დაწესებულებების შიდა მონიტორინგის, შეფასებისა და ანგარიშგების სისტემის ფუნქციონირება; მუნიციპალიტეტები ასევე ვალდებულნი არიან, სისტემატურად განახორციელონ დაწესებულებათა მონიტორინგი, რომლის მიზანია წესის შესაბამისად ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება. გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ გამოქვეყნებული კვლევის ანგარიშის მიხედვით,[30] მუნიციპალიტეტების წარმომადგენელთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ გარე შეფასება/მონიტორინგი ტარდება მეტწილად სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მუნიციპალური სამსახურების (მათ შორის, „სააგენტოების“ და „საბავშვო ბაღების გაერთიანებების“) მიერ. თუმცა, მუნიციპალიტეტების 14.4% აღიარებს, რომ მათ საამისოდ არ აქვთ შესაბამისი რესურსი. ისინი, ძირითადად, მიუთითებენ ისეთ პრობლემებზე, როგორიცაა: ხარჯები და ტრანსპორტირება მონიტორინგის მიზნებისთვის; საყოველთაო მარეგულირებელი დოკუმენტის არარსებობა, რომელიც იქნებოდა გზამკვლევი მონიტორინგის პროცესში,

29 http://www.civitas.ge/files/photos/Civitac_%E1%83%99%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%95%E1%83%90_Covid-19_final.pdf

30 https://www.unicef.org/georgia/media/1231/file/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A8%E1%83%98%20%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%93%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98%20%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%97%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%AE%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%99%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%95%E1%83%90.pdf

ფინანსური და ადამიანური რესურსების ნაკლებობა, კომუნიკაციის დეფიციტი მონაწილე ორგანიზაციებს შორის.

ამ ჩამონათვალში საყურადღებოა საყოველთაო მარეგულირებელი დოკუმენტის არარსებობა. „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი“ გურიის რეგიონში კონსულტირებას უწევდა ბაღებს თვითშეფასების პროცესის წარმართვაში, რომლის ფარგლებშიც გამოვლინდა, რომ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები მონიტორინგის შემდეგ მეტწილად სიტყვიერ რეკომენდაციებს იღებენ, არ არსებობს წერილობითი დოკუმენტაცია ამ მიმართულებით. ეს პრაქტიკა, შესაბამისად, ფესვგადგმულია ბაღების დონეზედაც. მენეჯერები და ადმინისტრაციის წარმომადგენლებიც, იშვიათი გამონაკლისების გარდა, არ აწარმოებენ პროცესის სტრუქტურიზებულ მონიტორინგს. მათ ხშირად ამის არც კომპეტენცია აქვთ და არც ინფორმაცია, თუ რა სტრატეგიების გამოყენება შეუძლიათ ამ პროცესში. ამასთან, გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშში ვკითხულობთ, რომ, საბავშვო ბაღების პერსონალის აზრით, მუდმივი მონიტორინგი ქმნის სტრესულ გარემოს, რაც აისახება მათი მუშაობის ხარისხზე და, შესაბამისად, ბავშვებზედაც.

სახელმწიფო სტრუქტურებიდან გამოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის ანალიზი

2020 წლის 30 ივნისს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით (№68/ნ) დამტკიცდა აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარების ტრენინგ-მოდული, რომლის მიზანია აღმზრდელ-პედაგოგთა გადამზადება და პროფესიული განვითარება. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრიდან გამოთხოვნილი ინფორმაციის მიხედვით, აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარების ტრენინგ-მოდული ჯამში მოიცავს 66 საკონტაქტო და 34 არასაკონტაქტო საათს. ის შედგება 33 სესიისგან, თითოეული სესიის ხანგრძლივობა კი შეადგენს 2 საათს.

ტრენინგ-მოდული მოიცავს შემდეგ თემატიკას: ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მნიშვნელობა, ხარისხიანი ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შედეგები ინდივიდისა და სახელმწიფოს დონეზე, „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი და სხვა მარეგულირებელი დოკუმენტები, ხარისხიანი/ინკლუზიური განათლება, კურიკულუმი ადრეულ განათლებაში, „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების გარემოსა და სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ხარისხის სტანდარტი“, ბავშვის განვითარება, ბავშვის აღზრდისა და განათლების სტანდარტები, შეფასება, დაკვირვება, პორტფოლიოს წარმოება, მშობელთა ჩართულობის ხელშეწყობა, ბავშვთა კეთილდღეობა, ბავშვის ძირითადი უფლებები, ბავშვზე ძალადობა, ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურები, საგანმანათლებლო გარემოს მახასიათებლები, ურთიერთობები, ტრანზიცია, თამაში, უნივერსალური დიზაინი,

დროითი გარემო, მცირე ჯგუფებში მუშაობა, დიდ ჯგუფებთან მუშაობა, აღმზრდელ-პედაგოგის როლი, სწავლების მრავალფეროვანი სტრატეგიები, მშობლებთან ურთიერთობა, მულტიდისციპლინური გუნდის მუშაობის მნიშვნელობა, ბავშვზე ორიენტირებული ღონისძიებების პრინციპები, დაგეგმვა და განხორციელება. აღსანიშნავია, რომ, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრიდან გამოთხოვნილი ინფორმაციის მიხედვით, აღნიშნული მოდულით 2021 წელს გადამზადებულია 182 პირი.

უკვე აღინიშნა, რომ მნიშვნელოვანი გამოწვევა ამ მიმართულებით არის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში მომუშავე პერსონალის დაბალი კვალიფიკაცია და ეს არაერთი კვლევით დასტურდება, თუმცა კვლევის ფარგლებში მუნიციპალიტეტების ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოებიდან გამოთხოვნილ იქნა ინფორმაცია შემდეგ საკითხებზე:

- დაწესებულებების თანამშრომლების რაოდენობა (აღმზრდელები, ადმინისტრაციის წარმომადგენლები), რომლებსაც ბოლო 3 წლის განმავლობაში გავლილი აქვთ გადამზადება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებული აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარების ტრენინგ-მოდულების შესაბამისად და/ან სხვა სახის გადამზადება/ტრენინგი, მიწოდებული მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის და/ან სხვა ორგანიზაციის მიერ.
- იმ აღმზრდელ-პედაგოგთა რაოდენობა, რომლებიც ფლობენ:
  ა) სულ მცირე, ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებულ აკადემიურ ხარისხს ნებისმიერ მიმართულებაში/დარგში/ სპეციალობაში;
  ბ) ბაგა-ბაღის აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების დამადასტურებელ პროფესიულ დიპლომს.

დასაწყისშივე უნდა აღინიშნოს, რომ არ არსებობს ერთიანი ბაზა, სადაც განთავსებული იქნება მუნიციპალიტეტების ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოების საკონტაქტო ინფორმაცია. აღნიშნულ სამსახურებს უმეტესად შექმნილი აქვთ Facebook-გვერდები, რომლებიც, ხშირ შემთხვევაში, ფუნქციადაკარგულია. გარდა ამისა, რეგიონებში სააგენტოების გარკვეულ ნაწილს არ აქვს წვდომა ხარისხიან ინტერნეტზე, რაც აფერხებს კომუნიკაციას. იშვიათად იკვეთება ფაქტები, როცა აღნიშნულ საჯარო სამსახურში დასაქმებული პირები არ ფლობენ კომპიუტერთან მუშაობისთვის საჭირო ისეთ მინიმალურ უნარ-ჩვევებს, როგორიცაა, მაგალითად, მეილის შემოწმება და/ან მეილის გაგზავნა. აქვე უნდა ითქვას, რომ ინფორმაცია ზემოაღნიშნულ საკითხებზე მიღებულ იქნა მხოლოდ 18 მუნიციპალიტეტიდან. მიუხედავად საჯარო პირებთან დამატებით სატელეფონო კომუნიკაციისა და მათი პასუხისმგებლობისა და ვალდებულებების განმარტებისა, ნაწილი მიიჩნევდა, რომ მოთხოვნილი ინფორმაცია იყო დიდი მოცულობის, შესაბამისად, დატვირთული სამუშაო გრაფიკის გამო ვერ მოახერხებდნენ მათ შეგროვებას. საყურადღებოა ისიც, რომ 13 მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოებთან საერთოდ ვერ მოხერხდა კომუნიკაციის დამყარება. მათ შორისაა: ზუგდიდი, ზესტაფონი, წყალტუბო, ქარელი, თელავი და სხვ.

მიღებული ინფორმაციის გაცნობის შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში მომუშავე აღმზრდელების ნაწილი (საშუალოდ, 50%) ფლობს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებულ ხარისხს ნებისმიერ მიმართულებაში, თუმცა მათ შორის მინიმალურია იმ აღმზრდელთა რაოდენობა, რომლებსაც აქვთ დიპლომი სკოლამდელი აღზრდის მიმართულებით. ამასთან, მცირეა იმ აღმზრდელების რაოდენობაც, რომლებმაც მოისმინეს აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარების ტრენინგ-მოდული და, შესაბამისად, მიიღეს აღმზრდელ-პედაგოგის სტატუსი. 18 მუნიციპალიტეტიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, მხოლოდ 7-მა მუნიციპალიტეტმა შეძლო აღმზრდელებისთვის ზემოაღნიშნული ტრენინგ-მოდულის შეთავაზება. საყურადღებოა ისიც, რომ ამ 7 მუნიციპალიტეტშიც კურსი არ გაუვლია ყველა დასაქმებულ აღმზრდელს. როგორც ბაგა-ბაღების გაერთიანებიდან გამოთხოვნილ ინფორმაციაში არის მითითებული, აღმზრდელების გადამზადება მომდევნო წლებში იგეგმება.

ასევე შეიძლება ყურადღება გამახვილდეს იმაზედაც, თუ რა თემებზე გაიარეს ბაღების აღმზრდელებმა ტრენინგები ბოლო სამი წლის განმავლობაში. თემატიკა, ძირითადად, მსგავსია და მოიცავს ინკლუზიურ განათლებას, თამაშსა და მის მნიშვნელობას, სასწავლო რესურსების შექმნასა და სკოლამდელი ასაკის ბავშვის სოციალურ-ემოციური განვითარების კომპონენტებს. გარდა ამისა, ბაღის წარმომადგენლებისთვის შეთავაზებულია ტრენინგები უსაფრთხოებისა და გარემოს მოწყობის შესახებ შესაბამის სტანდარტებზე დაყრდნობით, კერძოდ: ხანძარსაწინააღმდეგო მზაობის ხარისხის ამაღლება, სურსათის უვნებლობა, უსაფრთხოება და დაცულობა. აქვე საყურადღებოა ისიც, რომ სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციები, რომლებიც საგანმანათლებლო დაწესებულებებს სთავაზობენ სატრენინგო მომსახურებას ზემოაღნიშნულ თემებზე, მეტწილად, არასამთავრობო ორგანიზაციებია, რომლებიც სხვადასხვა პროექტის ფარგლებში ახორციელებენ მხარდამჭერ აქტივობებს საბავშვო ბაღებისთვის. ეს კი მიუთითებს იმაზე, რომ მუნიციპალიტეტებისა და, ზოგადად, პასუხისმგებელი სუბიექტების მხრიდან სკოლამდელი აღზრდისა და განათლების კუთხით განხორციელებული/შეთავაზებული მხარდამჭერი და კვალიფიკაციის ამაღლებისკენ მიმართული ღონისძიებები მინიმალური რაოდენობისაა. ამასთან, მუნიციპალიტეტებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, საკმაოდ დიდია იმ აღმზრდელების რაოდენობა, რომლებსაც ბოლო სამი წლის განმავლობაში არანაირი გადამზადება არ გაუვლიათ; მაგალითად, დუშეთის მუნიციპალიტეტში 60 აღმზრდელიდან ბოლო სამ წელიწადში ტრენინგი მხოლოდ 23-მა მოისმინა.

საკვლევი საკითხებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი იყო იმის შეფასება, თუ რა ნაბიჯებს დგამს ადგილობრივი ხელისუფლება სკოლამდელი საფეხურის გაძლიერების მიმართულებით. შესაბამისად, შეირჩა სამი რეგიონი: თბილისი, ქვემო ქართლი და გურია. შერჩევის განხორციელების პროცესში მნიშვნელოვანი იყო როგორც ქვეყნის აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ ნაწილის მოცვა, ასევე აღსაზრდელთა ჩართულობის ხარისხი სკოლამდელი აღზრდის საფეხურზე. ეს უკანასკნელი მაჩვენებელი თბილისსა და გურიაში საკმაოდ მაღალია, ხოლო ქვემო ქართლში – ძალიან დაბალი. ქვემოთ მოცემული ინფორმაცია

ეყრდნობა თბილისის, ლანჩხუთის, ოზურგეთის, ჩოხატაურის, რუსთავის, დმანისის, წალკის, ბოლნისისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტებიდან გამოთხოვნილ საჯარო ინფორმაციას. მიუხედავად მრავალგზისი კომუნიკაციისა, ინფორმაცია მოწოდებულ არ იქნა მარნეულისა და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტებიდან.

გამოთხოვნილი ინფორმაციის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ ადგილობრივი მუნიციპალიტეტების დონეზე, 2022 წლის მონაცემებით, განათლების მიმართულება ყველა სამიზნე რეგიონში პრიორიტეტულია და, ძირითადად, დაფინანსების რაოდენობრივი მაჩვენებლის მიხედვით, იკავებს მეორე ან მესამე ადგილს. უპირველესი თითქმის ყველა მუნიციპალიტეტისთვის არის (გარდა თბილისისა, სადაც მთლიანი ბიუჯეტის ყველაზე მეტი წილი – 24% – სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენაზე არის გათვლილი) ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია, რაზედაც მთლიანი ბიუჯეტის თითქმის ნახევარი, ან, ზოგიერთ შემთხვევაში, ნახევარზე მეტიც იხარჯება. მაგალითად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურის საკითხებზე მთლიანი ბიუჯეტის 64,9% (52 051 350 ლარი) არის გამოყოფილი, მაშინ, როცა განათლების მიმართულებაზე, რომელიც მეორე ადგილზე დგას, მხოლოდ 13,7%-ია გათვლილი. ზოგადად, მსგავსი ტენდენცია სხვა მუნიციპალიტეტებშიც აშკარაა. ეს გულისხმობს ბიუჯეტის მიხედვით რიგით პირველ და მეორე პრიორიტეტებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავების არსებობას, რაც, საშუალოდ, 20-30%-ს შეადგენს. სამიზნე მუნიციპალიტეტებიდან განათლების მიმართულებაზე ბიუჯეტში ყველაზე მეტი წილი გამოყოფილია რუსთავსა და გარდაბანში, სადაც განათლების მიმართულებით გამოყოფილი წილი საერთო ბიუჯეტის 20%-ს აღემატება, დანარჩენ მუნიციპალიტეტებში კი ეს მაჩვენებელი, საშუალოდ, 11-15%-ია.

მიუხედავად იმისა, რომ 2019 წლიდან დღემდე სამიზნე რეგიონების ბიუჯეტი მზარდია, სკოლამდელი აღზრდის მიმართულების დასაფინანსებლად სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხის წილი (ყველა კატეგორიის ხარჯის ჯამური მაჩვენებლის გათვალისწინებით), ძირითადად, მთლიანი ბიუჯეტის 10%-ს არ აღემატება. გამონაკლისია მხოლოდ გარდაბანი და რუსთავი, სადაც ეს მაჩვენებელი 20%-ს აღწევს; ყველაზე დაბალი მაჩვენებელი კი 4,1%-ია – დმანისის მუნიციპალიტეტში. ეს მონაცემები საკმაოდ უმნიშვნელოა და, სავარაუდოდ, ის ვერ ახდენს გავლენას სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის გაუმჯობესებასა თუ ელემენტარული საჭიროებების დაკმაყოფილებაზე. ამაზე მიუთითებს ისიც, თუ როგორ გადანაწილდება სკოლამდელი აღზრდის მიმართულების დასაფინანსებლად გამოყოფილი საბიუჯეტო თანხა. მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, სკოლამდელი აღზრდის მიმართულების დასაფინანსებლად გამოყოფილი საბიუჯეტო თანხის უმეტესი წილი, საშუალოდ, 60-70%, სახელფასო ფონდზე იხარჯება. მაგალითად, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში სკოლამდელი აღზრდის მიმართულების დასაფინანსებლად გამოყოფილი საბიუჯეტო თანხიდან, რომელიც 1550.0 ათას ლარს შეადგენს, სახელფასო ფონდზე იხარჯება 1319.5 ათასი ლარი, რაც ჯამური მაჩვენებლის 85%-ზე მეტს შეადგენს. შესაბამისად, ამგვარი გადანაწილების პირობებში მინიმალურია თანხა, რომელიც მოხმარდება აღმზრდელთა გადამზადებას ან საგანმანათლებლო რესურსების შეძენას. გამოთხოვნილ ინფორმაციაზე

დაყრდნობით, მაგალითად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ბაღების აღმზრდელებს პროფესიული გადამზადება არ გაუვლიათ; 2022 წელს აღმზრდელთა გადამზადებისთვის ასევე არ გამოყოფილა თანხა თბილისსა და დმანისის მუნიციპალიტეტში. რაც შეეხება სხვა მუნიციპალიტეტებს, კადრების პროფესიულ გადამზადებაზე, ძირითადად, ბიუჯეტის მხოლოდ 0,3% იხარჯება.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ, 2019 წლის მონაცემებთან შედარებით, თითქმის ყველა სამიზნე რეგიონში (გარდა წალკისა) აღსაზრდელთა რაოდენობა შემცირების დინამიკით ხასიათდება, ხოლო სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში დასაქმებულთა რაოდენობა – ზრდით, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში ეს აიხსნება სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების რაოდენობის მატებით.

კვლევისთვის მნიშვნელოვანი გახლდათ ინფორმაცია იმ მუნიციპალური პროგრამების შესახებ, რომელთა მიზანიც იყო სკოლამდელი განათლების მომსახურების გაუმჯობესება როგორც მართვის, ასევე პროგრამების ხარისხის ამაღლების თვალსაზრისით. ამის საპასუხოდ, სამიზნე რეგიონების წარმომადგენლებისგან მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, შეგვიძლია, ვთქვათ, რომ მსგავსი მომსახურებები საკმაოდ მწირია, თანაც მათ არ აქვს განგრძობითი ხასიათი. მაგალითისთვის, მუნიციპალურ პროგრამებად განხილულია შემდეგი: საბავშვო ბაგა-ბაღების ავეჯის განახლება; სათამაშოების შეძენის/განახლების პროექტი; სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფა; კვების უზრუნველყოფა; ბაღის შენობის რეაბილიტაცია; ტრენინგების შეთავაზება სკოლამდელი დაწესებულებების პერსონალისთვის და, ზოგადად, პერსონალის რაოდენობრივი ზრდა. ჩამოთვლილთაგან უმეტესობა, ძირითადად, უკავშირდება ინფრასტრუქტურული საჭიროებების მოგვარებასა და სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას; რაც შეეხება მართვის, ასევე სხვა მიმართულებების გაუმჯობესებას, ადგილობრივ დონეზე მნიშვნელოვანი შეთავაზებები საკმაოდ იშვიათია, ან საერთოდ არ არის.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი უკავშირდება ინფორმაციას იმ მუნიციპალური სამსახურის ან/და განყოფილების შესახებ, რომლებიც ახორციელებენ სკოლამდელი დაწესებულებების მუშაობაზე სამსახურებრივ ზედამხედველობას; ასევე საინტერესოა მექანიზმი ან/და მეთოდოლოგია, თუ როგორ აკონტროლებს მუნიციპალიტეტი სკოლამდელი აღზრდის მომსახურების მიწოდების ეფექტიანობას. ეს შეიძლება მოიცავდეს როგორც ფინანსების, ასევე ხარისხის კონტროლს. ძირითადად, მონიტორინგის პროცესში ჩართულია მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური, საზოგადოებასა და მედიასთან ურთიერთობის სამსახური, მერიის აუდიტი და მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანება. თუმცა არ არსებობს ინფორმაცია იმ მეთოდოლოგიის შესახებ, რომელიც გამოიყენება კონტროლისა და მონიტორინგის პროცესში. მეტი სიცხადისთვის კვლევის ფარგლებში გამოთხოვნილ იქნა 2019, 2020, 2021 წლებში განხორციელებული ზედამხედველობის დამადასტურებელი დოკუმენტები – ოქმები, შეფასების ანგარიშები და ა.შ. აღნიშნული ინფორმაცია არცერთ მუნიციპალიტეტს არ მოუწოდებია, არც უარის მიზეზი განუმარტავთ. მხოლოდ ბოლნისის მუნიციპალიტეტმა ახსნა, რომ მიმდინარეობდა მონიტორინგისა და ხარისხის კონტროლის მექანიზმის

შემუშავება, მოცემული დროისთვის პროგრამა არ იყო სრულყოფილი, რის გამოც ვერ ახერხებდნენ მის მოწოდებას. აღნიშნული სურათი გვაფიქრებინებს, რომ მუნიციპალიტეტებს, ზოგადად, არ აქვთ მოქნილი და ეფექტიანი მონიტორინგის სისტემა, რომლის ამოქმედება ხელს შეუწყობს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საფეხურის გაუმჯობესებას.

სფეროში მომუშავე ექსპერტებთან ჩატარებული სიღრმისეული ინტერვიუების ანალიზი

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საფეხურის ფუნქციონირების პროცესში მნიშვნელოვანია ორი მიმართულების განხილვა: ერთი მხრივ, ესაა ხელმისაწვდომობა, როგორც კონსტიტუციით გარანტირებული უფლების დაცვის შესაძლებლობა; მეორე მხრივ, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხი, როგორც ერთობლიობა იმ ძირითადი კომპონენტებისა, რომლებიც საბოლოოდ განსაზღვრავს აღნიშნული საფეხურის ეფექტიანობას. სფეროს ექსპერტები მიიჩნევენ, რომ, არსებულ სტატისტიკაზე დაყრდნობით, წლების განმავლობაში იზრდება სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საფეხურზე ხელმისაწვდომობის ხარისხი. ეს, რესპონდენტთა აზრით, მეტწილად გამოწვეულია იმით, რომ განათლების ეს საფეხური გახდა უფასო, თანაც, რეგიონებში შენდება ახალი ბაღები. თუმცა, პოზიტიურ შედეგებთან ერთად, ამ მხრივ არსებობს გამოწვევები, განსაკუთრებით ეთნიკური უმცირესობების თემებსა და მაღალმთიან რეგიონებში. რესპონდენტთა თქმით, ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში სკოლამდელ განათლებაზე ხელმისაწვდომობის დაბალი მაჩვენებელია, რის გამომწვევ ერთ-ერთ ანგარიშგასაწევ ფაქტორად სახელდება ენობრივი ბარიერი. აღნიშნული მოიცავს როგორც საჭირო ლიტერატურის არარსებობას ან სიმწირეს სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე, ასევე სიმცირეს პროფესიონალი კადრებისა, რომლებსაც არ აქვთ ენობრივი ბარიერი. ამ მიმართულებით ექსპერტები ყურადღებას ამახვილებენ ბილინგვურ სწავლებაზე, როგორც პრობლემის გადაჭრის ეფექტურ გზაზე. რაც შეეხება მაღალმთიან რეგიონებს, სადაც მოსახლეობის რაოდენობა თანდათან მცირდება, ადგილობრივი ხელისუფლება დგება ისეთი მნიშვნელოვანი გამოწვევის წინაშე, როგორიცაა ეფექტიანი ბიუჯეტის შედგენა. გამომდინარე იქიდან, რომ მსგავს დასახლებებში საკმაოდ მცირეა სკოლამდელი განათლების საფეხურზე მყოფ აღსაზრდელთა რაოდენობა, ხარჯთეფექტურობის თვალსაზრისით, მუნიციპალიტეტისთვის პრიორიტეტული არ არის ახალი ბაღის მშენებლობა, თუმცა, რესპონდენტების აზრით, მნიშვნელოვანია, ყველა ბავშვისთვის შეთავაზებული იყოს ალტერნატიული სერვისი, რომელიც უზრუნველყოფს ბავშვისთვის კონსტიტუციით მინიჭებული უფლების დაცვას.

რაც შეეხება მეორე მიმართულებას, რომელიც მოიცავს ხარისხიანი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მიწოდებას, ამ კუთხით არსებული გამოწვევების ჩამონათვალი, რესპონდენტთა აზრით, საკმაოდ მრავალრიცხოვანია, კერძოდ:

- სააღმზრდელო დაწესებულებების პერსონალის დაბალი კვალიფიკაცია;
- ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ საკუთარი როლის გააზრება სკოლამდელი აღზრდის საფეხურის ფუნქციონირების პროცესთან მიმართებით;
- ინფრასტრუქტურული პრობლემები და რესურსების ნაკლებობა;
- სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების როლისა და მნიშვნელობის აღქმა საზოგადოების მიერ.

ჩამოთვლილი საკითხები, რესპონდენტთა აზრით, საკმაოდ კომპლექსურია და ბევრ ქვეპუნქტს მოიცავს, რომელთა უმეტესობაც ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული და აფერხებს ხარისხიანი საგანმანათლებლო სერვისის მიწოდებას აღსაზრდელებისთვის.

სააღმზრდელო დაწესებულებების პერსონალის დაბალი კვალიფიკაცია

კვლევაში ჩართული რესპონდენტების აბსოლუტური უმრავლესობა აღნიშნავს, რომ სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საფეხურზე დასაქმებულ პირთა კვალიფიკაცია, ძირითადად, შემუშავებული სტანდარტის შესაბამისი არ არის. ამის რამდენიმე მიზეზი სახელდება. ერთი მხრივ, უმაღლესი განათლების დაწესებულებებმა მეტწილად შეწყვიტეს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამების შეთავაზება და ოპერირება; შესაბამისად, რესპონდენტთა თქმით, ბაღში დასაქმებულთა უმრავლესობას განათლება მაშინ აქვს მიღებული, როცა ჯერ კიდევ არ იყო დანერგილი თანამედროვე აღზრდის მეთოდები თუ სტანდარტები. ამიტომ მათი მიდგომები ვერ აკმაყოფილებს საჭირო მოთხოვნებს. ამასთან, ნაკლებია მოთხოვნა და ინტერესიც აღნიშნული სფეროს მიმართ, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს განათლების ამ საფეხურის ნაკლები პოპულარობით. გარდა ამისა, ექსპერტთა ნაწილის შეფასებით, აღმზრდელი არ განიხილება პედაგოგად/მასწავლებლად, მას არ აქვს ისეთივე სტატუსი და პროფესიული განვითარების შესაძლებლობები, როგორიც სკოლის პედაგოგებს. შესაბამისად, სკოლამდელი განათლება არ აღიქმება, როგორც საერთო საგანმანათლებლო სისტემის ნაწილი.

რესპონდენტები მიუთითებენ ბაღის თანამშრომელთა დაბალ ანაზღაურებასა და რთულ სამუშაო პირობებზე, რაც აბრკოლებს ახალ კადრებს, დაინტერესდნენ ამ მიმართულებით და, საგანმანათლებლო პროგრამების არსებობის შემთხვევაში, საკუთარი წვლილი შეიტანონ სფეროს განვითარებაში. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ბაღში დასაქმებულთა ანაზღაურება ქვეყნის მასშტაბით ერთ-ერთი ყველაზე დაბალია, რაც ნეგატიურ გავლენას ახდენს როგორც უკვე დასაქმებულ პირთა მოტივაციაზე, ისევე პოტენციურ დასაქმებულთა განწყობაზე.

გარდა ამისა, ექსპერტთა აზრით, მძიმეა ის პირობებიც, რომლებში მუშაობაც უწევს ბაღის პერსონალს, განსაკუთრებით – აღმზრდელებს. აღსანიშნავია, რომ უმეტეს შემთხვევაში მათ არ აქვთ არასაკონტაქტო საათი; შეიძლება ითქვას, მინიმალურია შესაძლებლობა, რომ აღმზრდელებმა შეძლონ ინდივიდუალურად დაკვირვება თითოეულ აღსაზრდელზე და შესაბამისი გეგმების შემუშავება თუ რეფლექსია. უმეტესად, სწორედ დროის სიმცირის გამო აღმზრდელებს არ აქვთ საშუალება, იზრუნონ თვითგანვითარებასა და კვალიფიკაციის ამაღლებაზე. ექსპერტთა აზრით, აღმზრდელის დატვირთვის ხარისხს ზრდის ჯგუფებში ბავშვთა დიდი რაოდენობა, რომელიც აღემატება კანონით გათვალისწინებულ ნორმას. რესპონდენტთა შეფასებით, ჯგუფში, რომელშიც ბავშვთა რაოდენობა კანონით დასაშვებზე ბევრად მეტია, სასურველი შედეგის მიღებას კვალიფიციური კადრიც ვერ შეძლებს. აღსანიშნავია ისიც, რომ ზემოხსენებული პრობლემის წინაშე დგას საქართველოში არსებული სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების უმეტესობა, თუმცა კანონის დარღვევას ამ მიმართულებით მუდმივი ხასიათი აქვს და ამაზე პასუხისმგებელი სტრუქტურები შესაბამისად არ რეაგირებენ. ექსპერტები მიუთითებენ იმაზედაც, რომ სკოლამდელი აღზრდის პერსონალის წარმომადგენლებს ხშირად არ აქვთ შექმნილი ელემენტარული პირობებიც კი, რომ საკუთარი საჭიროებები დაიკმაყოფილონ; მაგალითად, უმეტეს შემთხვევაში, არ არსებობს ცალკე სივრცე ბაღის თანამშრომლებისთვის, სადაც მათ შეეძლებათ კვება, შესაბამისად, უწევთ სხვადასხვა ადგილის, მათ შორის, საპირფარეშოების გამოყენება ამ მიზნით, რაც, სავარაუდოდ, საკმაოდ ნეგატიურ გავლენას ახდენს მათი მუშაობის ხარისხზედაც.

> *„შეგვიძლია, ვთქვათ, რომ ისინი [ბაღის პერსონალი] არიან მოსული არა განათლების სფეროდან. სამწუხაროდ, უნდა აღვნიშნო ეს, რომ სკოლამდელი განათლების აღმზრდელად მუშაობენ, რადგან ეს იყო ერთგვარი შესაძლებლობა მათთვის, ვინც საკუთარი თავი სხვაგან ვერ იპოვა, მაქსიმალურად ვცდილობ, ვილაპარაკო რბილად. ამიტომ ის ინტერესი, მოტივაცია არ აქვთ, [რაც გამომდინარეობს] განათლების ნაკლებობიდან და, ასევე უნდა აღვნიშნო, დაბალი ანაზღაურებიდან, რომელიც, ზოგადად, არის დაწესებული სააღმზრდელი საგანმანათლებლო პერსონალისთვის ქვეყნის მასშტაბით“ (ექსპერტი).*

> *„დაინტერესდით, სად ჭამს პერსონალი [ბაღში]. იმას ვერ ჭამს, რაც ბავშვის საჭმელია. ადგილი იმისთვის, რომ სახლიდან მოიტანოს საკვები და ის ჭამოს, არაა. სულ ბავშვებთან არის, მას არ აქვს არასაკონტაქტო საათი. მე ვიცი შემთხვევები, როდესაც პერსონალი იძულებულია, ჭამოს დერეფანში, და კიდევ უფრო უარესი – საპირფარეშოში. ეს არის საშინელება და, პერსონალი რაც არ უნდა კვალიფიციური იყოს, მოსთხოვო რაღაცა, რთულია. მეორე: ხელფასები არის ძალიან დაბალი. არ შეიძლება, რომ ასე იყოს. ყველაზე დაბალი ანაზღაურება ჯერ ბიბლიოთეკარებს აქვთ და მერე – ბაღის აღმზრდელებს. ეს არ შეიძლება“ (ექსპერტი).*

ექსპერტთა თქმით, დაბალია ბაღების მენეჯერთა კვალიფიკაციაც. გარდა ამისა, საქართველოში, ევროპის ქვეყნებისგან, მაგალითად, პოლონეთისგან, განსხვავებით, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ხელმძღვანელის

საკვალიფიკაციო მოთხოვნაში პედაგოგიური განათლება აუცილებელი მოთხოვნა არ არის, რაც, რესპონდენტთა ნაწილის თქმით, ხელს უშლის ხელმძღვანელის მიერ საგანმანათლებლო დაწესებულების კონტექსტის აღქმას. ამას ემატება ზემდგომი პირების მხრიდან კონტროლის მექანიზმების ამოქმედება, რაც მეტწილად ორიენტირებულია ტექნიკურ საკითხებზე, როგორიცაა საკვების მომარაგება და ხარისხი, სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა. სწორედ ამ ტექნიკური პრობლემების მოგვარებაზე ზრუნვა გადაიქცა მენეჯერის ყოველდღიურ საქმიანობად. ეს, თავისთავად, მნიშვნელოვანი საკითხია, თუმცა არა ერთადერთი, რადგან ამის მიღმა რჩება პროგრამული ნაწილი, როგორც აღსაზრდელის სოციალიზაციისა და განვითარების საშუალება. შესაბამისად, მენეჯერები ნაკლებად არიან დაკავებული პედაგოგიური საქმიანობის ორგანიზებით.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, შემუშავებულია აღმზრდელ-პედაგოგთა ტრენინგ-მოდული, რომელსაც რესპონდენტები პოზიტიურად აფასებენ, რადგან მიიჩნევენ, რომ ეს მოდული აერთიანებს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საკვანძო საკითხებს. მათი გააზრება ევალება ყველა აღმზრდელს, რათა სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესი ეფექტურად წარიმართოს. მიუხედავად იმისა, რომ ექსპერტები მოდულს დადებითად აფასებენ, ამავე დროს, მიიჩნევენ, რომ მხოლოდ ტრენინგის მოსმენა ვერ უზრუნველყოფს კვალიფიკაციის საგრძნობლად გაზრდას, რადგან მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სწორედ კურიკულუმების გაცნობის შემდგომ აქტივობებს – ათვისებული თეორიული მასალების თავმოყრასა და მათ გადატანას პრაქტიკაში, უშუალოდ სააღმზრდელო პროცესში. რესპონდენტთა აზრით, მნიშვნელოვანია სწორედ ტრენინგის გავლის შემდგომი პროცესის მონიტორინგი და მასში ჩართულობა, რადგან მიღებული თეორიული ცოდნა პრაქტიკული გაგრძელების გარეშე მალევე ეძლევა დავიწყებას და სასურველ შედეგს არ იძლევა. ამასთან, ექსპერტები ზემოაღნიშნულ ტრენინგ-მოდულს მიიჩნევენ ერთგვარ „დროებით საშუალებად“, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესის ეფექტიანობის გაზრდას. თუმცა მსგავსი აქტივობა ხსენებული გამოწვევების ბოლომდე გადასაჭრელად ვერ გამოდგება, განსაკუთრებით იმ პირობებში, როცა ტრენინგ-მოდული ამ ეტაპზე ხელმისაწვდომი არ არის ყველა აღმზრდელისთვის. ამის რამდენიმე მიზეზი არსებობს. ერთი მხრივ, ექსპერტები მიიჩნევენ, რომ მცირეა რაოდენობა სერვისის მიმწოდებლებისა, რომლებსაც აქვთ შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება, მიაწოდონ კურიკულუმებით გათვალისწინებული საკითხები აღმზრდელებსა თუ პერსონალის სხვა წარმომადგენლებს, რაც ხელს უშლის პროცესის დროულად განხორციელებას და პერსონალის მაქსიმალურად მოცვას. გარდა ამისა, აქ მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის როლი, რომელმაც მხარი უნდა დაუჭიროს აღნიშნულ პროცესს და ეს მიმართულება პრიორიტეტულად აქციოს. სამწუხაროდ, ხშირ შემთხვევაში ასე არ ხდება. ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ მუნიციპალიტეტებს აქვთ შესაძლებლობა, ბაღების პერსონალის ხელფასების ზრდა სწორედ აღნიშნული ტრენინგ-მოდულის გავლას და აღმზრდელისთვის გარკვეული სტატუსის მინიჭებას დაუკავშირონ. ამის პრეცედენტებიც არსებობს, თუმცა მათი რიცხვი მცირეა და საერთო ფონს ვერ ცვლის. გარდა ამისა, რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ მუნიციპალიტეტმა ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში უნდა იზრუნოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საფეხურზე დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე. არსებული პრაქტიკის მიხედვით, ადგილობრივ დონეზე

ბიუჯეტში საერთოდ არ არის გათვალისწინებული ხარჯები აღმზრდელებისა და მენეჯერების პროფესიული განვითარებისთვის. მსგავსი პრაქტიკა, ექსპერტების თქმით, ნეგატიურად აისახება როგორც თავად ბაღის პერსონალის მოტივაციაზე, ასევე თავად სააღმზრდელო პროცესზედაც. პროფესიულ განვითარებაზე მუდმივი ზრუნვა კი პოზიტიური შედეგების საწინდარი შეიძლება გახდეს.

> *„66-საათიანი მოდული – ეს კარგი სატრენინგო მოდულია, შესავალ [კურსს] წარმოადგენს ყველა იმ საკითხზე, რომლებსაც ახალი სტანდარტები მოიაზრებს. ის სრულიად განსხვავებულ დამოკიდებულებას გულისხმობს ღირებულებების თვალსაზრისით. ბავშვზე ორიენტირებულია მიდგომა... შესაბამისად, ყველაფრის ცენტრში არის ბავშვი და მისი კეთილდღეობა. ამიტომ ეს ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ ალბათ არავინ არ არის ახლა ქვეყანაში, ვინც იტყვის, რომ ეს იქნება საკმარისი იმისთვის, რომ რეალურად პრაქტიკა შეიცვალოს და მართლა მიიღოს ბავშვმა სხვანაირი სკოლამდელი განათლება ამ 66 საათის შედეგად“ (ექსპერტი).*

> *„ზოგადად, პროფესიული ხელშეწყობის ვალდებულება აქვს მუნიციპალიტეტს და მუნიციპალიტეტები დღეს ამას არ აკეთებენ. მუნიციპალიტეტებს დღეს ამის ბიუჯეტირება არ გაუკეთებიათ, და ამას აკეთებს ისევ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მასწავლებლის სახლი. მასწავლებლის სახლს აქვს ჩადებული ბიუჯეტი და გადაწყვიტა, რომ ხარჯოს თანხა ამ მიმართულებით. პირადი მოსაზრება მაქვს ამასთან დაკავშირებით: მგონია, რომ, კანონში რაც წერია, უნდა აღსრულდეს ხოლმე“ (ექსპერტი).*

> *„ერთადერთი ამაში [აღმზრდელ-პედაგოგის ტრენინგ-მოდულში] კარგი ის არის, რომ ყველა მასწავლებელმა უნდა გაიაროს და ყველა მასწავლებელს რაღაც საბაზისო ტრენინგი ექნება გავლილი, რადგან ეს ვალდებულებაა. ეს არის ერთადერთი, რაც მე ამაში მომწონს. დანარჩენს რაც შეეხება, ვფიქრობ, სხვანაირად უნდა იყოს სისტემა აგებული... მე ვფიქრობ, რომ ასე ერთჯერადი გადამზადება კი არ უნდა იყოს, არამედ სისტემა, რომელიც მე [აღმზრდელს] საშუალებას მომცემს, კომპეტენციები ავიმაღლო იმის შესაბამისად, რა საჭიროებაც მაქვს. ამისი მომწოდებელი ორგანიზაციაც, რაც შეიძლება, მეტი უნდა იყოს. მე მგონია, რომ მასწავლებელი უნდა წყვეტდეს, რომელ ორგანიზაციას მიმართოს“ (ექსპერტი).*

ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ საკუთარი როლის გააზრება სკოლამდელი აღზრდის საფეხურის ფუნქციონირების პროცესთან მიმართებით

ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად ექსპერტები ასახელებენ ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ საკუთარი როლის გაცნობიერებას სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ადმინისტრირების პროცესში. რესპონდენტების უმეტესობა, არსებულ პრაქტიკაზე დაკვირვების შედეგად, მიიჩნევს, რომ ადგილობრივი

თვითმმართველობებისთვის პრიორიტეტს წარმოადგენს ახალი ბაღების მშენებლობა და/ან რემონტი, რაც, თავის მხრივ, არ შეიძლება განიხილებოდეს, როგორც ნეგატიური მოვლენა; თუმცა მუნიციპალიტეტები ვერ აცნობიერებენ საკუთარ როლს იმ თვალსაზრისით, რომ მათ შეუძლიათ, გავლენა მოახდინონ ბაღების ფუნქციონირების სხვა სფეროებზე, რაც გააუმჯობესებს სკოლამდელი განათლების ხარისხს რეგიონში. ისინი, უმეტესად, დამოკიდებული არიან ცენტრალურ ხელისუფლებაზე, მათ შორის, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შეთავაზებულ რეკომენდაციებზე და თავად მათი მხრიდან წამოყენებული ინიციატივების წილი, შეიძლება ითქვას, მინიმალურია. შესაბამისად, ექსპერტები მიიჩნევენ, რომ მუნიციპალიტეტები არ არიან დამოუკიდებელნი სკოლამდელი განათლების დაწესებულებების მუშაობის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით სხვადასხვა სახის საქმიანობის ორგანიზებისა და მოქმედების ნაწილში. უმეტესად, ადგილობრივი თვითმმართველობა სრულად ვერ იაზრებს თავის როლს სკოლამდელი განათლების დაწესებულებათა კონტროლის პროცესში, რაც მისი ექსკლუზიური უფლებაა. თუმცა ექსპერტები მიუთითებენ იმაზედაც, რომ მუნიციპალიტეტებს ზემოხსენებული ექსკლუზიური უფლება მიენიჭა მაშინ, როცა ადგილობრივ დონეზე ამისთვის მზაობა თითქმის არ არსებობდა. ამ მიმართულებით მხარდამჭერი სისტემების არსებობა გააძლიერებდა ადგილობრივ დონეზე პროცესში ჩართულ პირებს, მაგრამ მათი (სისტემების) რაოდენობა მინიმალური იყო. შესაბამისად, წლების განმავლობაში, მიუხედავად სხვადასხვა მხარდამჭერი პროექტის განხორციელებისა, მუნიციპალურ დონეზე კადრების კვალიფიკაციის პრობლემა კვლავაც მწვავედ დგას, რადგან გადაწყვეტილების მიმღებ პირებს უჭირთ პრიორიტეტების გამოვლენა არსებული პრობლემების იდენტიფიცირების საფუძველზე. შესაბამისად, დეცენტრალიზაციის პროცესი, რომელიც ცალსახად პოზიტიურ მოვლენად არის შეფასებული (რადგან არსებობს მოლოდინი, რომ პრობლემების თუ საჭიროებების იდენტიფიცირება და სათანადო რეაგირება ადგილობრივ დონეზე უფრო იოლი და ეფექტურიცაა), ვერ გახდა ისეთი შედეგის მიღების გარანტი, რომელიც გამოიწვევდა პროცესის გაჯანსაღებას. ვერ მოხერხდა ძალთა კონსოლიდაცია და მიზანმიმართულად ამის გადატანა მუნიციპალიტეტების დონეზე. ამას ემატება ქვეყანაში არსებული არასტაბილური პოლიტიკური მდგომარეობა, როცა ადგილობრივ მუნიციპალიტეტებში ყოველი არჩევნების შემდეგ იცვლება სფეროში დასაქმებული კადრები, რაც იწვევს ძველი კადრების გადინებას, რომლებიც ჩართული იყვნენ ამა თუ იმ პროექტში, დააგროვეს გარკვეული გამოცდილება და ცოდნა ამ მიმართულებით. მათ ადგილს იკავებენ ახალი კადრები, რომლებსაც თავიდან უწევთ იმავე გზის გავლა, რაც აფერხებს პროცესს.

> *„მუნიციპალიტეტი არის ყოველთვის დაბალი ღობე. 2006-ში, როდესაც გადაწყვიტეს, რომ უნდა განხორციელებულიყო განათლების რეფორმა, ბაღი არ ჩათვალეს განათლების ნაწილად; თქვეს, რომ ეს არაფერი არ არის და რატომ უნდა ვაჭამოთ ბავშვებს, მშობლებმა აჭამონ, და, გადასცეს მუნიციპალიტეტს, რომელიც არაფრისთვის არ იყო მზად და, შესაბამისად, დახურა უმეტესი ბაღები, [მაგალითად,] თბილისში გაყიდა. ბევრია ასეთი შემთხვევა. შემდეგ გადაწყვიტეს, რომ ეს უნდა იყოს უფასო და მუნიციპალიტეტმა დააფინანსოს“ (ექსპერტი).*

„სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, კვების შემოწმება უფრო მარტივია, ანუ რაღაც ინსტრუმენტები გაქვს, სტანდარტი და ტექნიკური რეგლამენტი არსებობს და არაფერ განსაკუთრებულ ცოდნას ეს არ მოითხოვს. იგივე სანიტარიული ნომრების დაცვა და ა.შ. – ეს საშუალო კვალიფიკაციის ადამიანსაც შეუძლია, რომ გააკეთოს, შესაბამის ტრენინგს თუ გაივლის. განათლების შემთხვევაში ეს ასე არ არის, კვლევებიც ამას ცხადყოფს, რომ მუნიციპალიტეტის დონეზე, ეგრეთ წოდებული გაერთიანებების ფარგლებში, სამწუხაროდ, შესაბამისი კვალიფიკაციის ადამიანები ძალიან ხშირ შემთხვევაში არ მოიპოვება. მუნიციპალიტეტის დიდ ნაწილში არ აქვთ ის კომპეტენციები, რომ, პირველ რიგში, მხარდაჭერა გასწიონ და მერე – მონიტორინგი“ (ექსპერტი).

გარდა ზემოაღნიშნული გამოწვევებისა, ექსპერტების აზრით, მნიშვნელოვანია ბაღების ავტონომიურობის საკითხიც. რესპონდენტების თქმით, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტონომიურობის ხარისხი ძალიან დაბალია, ადგილობრივი მუნიციპალიტეტები კი არ წაახალისებენ ამ საფეხურზე საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან წამოსულ ინიციატივებს; პირიქით, ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ადგილობრივ ხელისუფლებას მაკონტროლებლის ფუნქცია აქვს მორგებული, რაც, მეტწილად, ასოცირდება არა თანამშრომლობითი გარემოს შექმნასთან, არამედ დამსჯელობითი ფუნქციის შეთავსებასთან. ამგვარ აღქმას კიდევ უფრო განამტკიცებს მონიტორინგის იმგვარი სისტემა, რომელიც, ექსპერტების თქმით, არ არის მხარდაჭერაზე ორიენტირებული და მხოლოდ ტექნიკური საკითხების გაკონტროლებით შემოიფარგლება. საყურადღებოა, რომ, ადრეული და სკოლამდელი განათლებისა და აღზრდის შესახებ კანონის თანახმად, უნდა დამტკიცებულიყო ორი ტიპის მონიტორინგი: ა) მონიტორინგი, რომელსაც სტანდარტების შესაბამისად ახორციელებს მუნიციპალიტეტი საჯარო სკოლამდელ დაწესებულებში; და ბ) შიდა მონიტორინგი, რომელსაც დაწესებულება თავის თავთან მიმართებით უნდა ახორციელებდეს. ეს ნორმატიული აქტები უნდა დამტკიცდეს მუნიციპალიტეტების დონეზე. აღნიშნული დოკუმენტები გაეროს ბავშვთა ფონდის დახმარებით შემუშავდა, ისინი ყველა მუნიციპალიტეტმა დაამტკიცა, მაგრამ გართულდა მათში მითითებული აქტივობების დანერგვა პრაქტიკაში. ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ, მიუხედავად არსებული დოკუმენტებისა, მონიტორინგის სისტემა ამ მიმართულებით უფუნქციო და არაეფექტურია. ეს ცხადი ხდება განსაკუთრებით იმ პირობებში, როცა სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის პროცედურა გახანგრძლივდა (დროში გაიწელა), რადგან, ექსპერტთა თქმით, მონიტორინგი განიხილება, როგორც ავტორიზაციის პირობების შესრულების თუ შეუსრულებლობის შემოწმების მიზნით განხორციელებული პროცესი. ამ ეტაპზე კი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებს ავტორიზაცია ჯერ კიდევ არ გაუვლიათ; შესაბამისად, ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ მონიტორინგის სისტემის დოკუმენტების დამტკიცება იმ პირობებში, როცა ამ პროცესის წინაპირობები დაკმაყოფილებული არ არის, საბოლოო შედეგზე პოზიტიურ გავლენას ვერ მოახდენს.

„ზოგადად, მონიტორინგის და შეფასების სისტემა, მექანიზმები, მათი დანერგვა არის უძირო ნაპრალი... მუნიციპალიტეტიდან მოდიან ვიღაცები და აფასებენ, რა მდგომარეობაშია ინფრასტრუქტურა, და მეთოდისტები ბაღების გაერთიანებიდან, რომლებიც სვამენ კითხვებს: „რას შვრები?“, „მანახე დღის წესრიგი!“ – ამას ეძახიან მონიტორინგს... ერთი იმითაა დამშვიდებული ხალხი, რომ ადრინდელი შეგრძნება, რომ, აი, „მამოწმებენ, მაკონტროლებენ“, [აღარაა]. თუმცა მაინც აქვთ ეს საბჭოური მენტალიტეტი – ღია გაკვეთილი უნდა ჩავატარო, რომ დავანახო, რა მაგარი ვარ. მაგრამ, ძირითადად... მოდიან, რაღაცებს მეკითხებიან, მეხმარებიან, მაძლევენ რეკომენდაციას და ა.შ. მიუხედავად იმისა, რომ მონიტორინგის პროცესიც მხარდამჭერი... უნდა იყოს და პრაქტიკის გაუმჯობესებაზე ორენტირებული; რეკომენდაციებით უნდა მთავრდებოდეს და არა დასჯაზე [მითითებით]. თუ რაღაც საოცრებები ხდება, მონიტორინგმა ეს უნდა აღმოაჩინოს. ასეთი მონიტორინგი არ ხორციელდება, მონიტორინგის სისტემა არ არსებობს და არც დანერგილა. რეალობაში რასაც ეძახიან მონიტორინგს, ეს მონიტორინგი არ არის“ (ექსპერტი).

„ხვალ რომ მოინდომოს მეთოდურად ვიღაცამ ბაღების შემოწმება, უბრალოდ, რესურსი ამის ძალიან ნაკლებად არის როგორც მუნიციპალიტეტში, ასევე ცენტრალურ დონეზე. ადრე სულ ვფიქრობდი, რომ მონიტორინგი უნდა იყოს, ახლა ვფიქრობ, რომ საერთოდ თავი უნდა დაანებონ. ყველა ჯერზე ყველა ადამიანი რაღაცას წყვეტს თავისი შეხედულებისამებრ, არაფერი გაწერილი არ არის. იგივეა მეთოდოლოგიაში... კომპეტენციების პრობლემა არის იმ ადამიანების, ვინც ეს უნდა შეამოწმოს, ხარისხი აკონტროლოს. შესაბამისად, არაკომპეტენტურ შემოწმებას, ჯობია, საერთოდ არ იყოს, ჩემი აზრით“ (ექსპერტი).

ინფრასტრუქტურული პრობლემები და რესურსების ნაკლებობა

საკანონმდებლო დონეზე, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ კანონის შესაბამისად, რამდენიმე ხარისხის სტანდარტი და ტექნიკური რეგლამენტი უკვე დამტკიცებულია, თუმცა მათ შორის არ არის სტანდარტი ინფრასტრუქტურის შესახებ. აღნიშნული დოკუმენტი შემუშავებულია, მაგრამ წლების განმავლობაში ვერ ხერხდება მისი დამტკიცება. როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, პასუხისმგებელი სტრუქტურები ზემოხსენებული სტანდარტის დამტკიცების შეფერხების მიზეზად ასახელებენ ქვეყანაში მოქმედი ბაღის შენობების უმრავლესობის ინფრასტრუქტურულ გამოწვევებს, რაც ხელს შეუშლის ამ დაწესებულებების ფუნქციონირებას, რადგან, სტანდარტის დამტკიცების შემთხვევაში, მათი დიდი ნაწილი ვერ შეძლებს ამ სტანდარტითვე დაწესებული კრიტერიუმების დაკმაყოფილებას. რესპონდენტთა თქმით, მიუხედავად პოზიტიური ძვრებისა ინფრასტრუქტურის სფეროში, ამ მხრივ პასუხისმგებელ სტრუქტურებს ჯერ კიდევ ბევრი აქვთ გასაკეთებელი, რადგან სააღმზრდელო და საგანმანათლებლო დაწესებულებების ფიზიკური გარემო არ არის ადაპტირებული და მორგებული იმ

საჭიროებებზე, რომელთა დაკმაყოფილება სასიცოცხლოდ აუცილებელია ბავშვის სრულფასოვანი განვითარებისთვის.

> *„როდესაც ჩვენ გვგონია, რომ ბავშვებისთვის სათანადო ინფრასტრუქტურას ვქმნით, ვგულისხმობ ახალგარემონტებულ სივრცეებს... ეს სივრცეებიც შეიძლება იყოს ისეთი, რომელიც სრულიად შეუსაბამოა ბავშვის განვითარებისთვის. მაგალითად, არის ჭრელი კედლები, ჭრელი ავეჯი, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია სიფერადე, სილაღე და ა.შ., მაგრამ არ არის საჭირო აჭრელებული კედლები და სხვადასხვა ფერის ავეჯი. პირიქით, მნიშვნელოვანია, რომ გარემო იყოს უნივერსალურ დიზაინერულ პრინციპებზე დაფუძნებული, რაც გულისხმობს იმას, რომ მაქსიმალურად ყველასთვის იყოს გათვლა, როდესაც [აწყობ] სივრცეს. როდესაც გაქვს ერთი კედელი იასამნისფერი, მეორე – მწვანე და მესამე – წითელი, და ზედ კიდევ მიხატულია აღმზრდელებისგან მათი შემოქმედებითი ნამუშევრები, ეს არ არის ბავშვის განვითარებისთვის შესაბამისი...“ (ექსპერტი).*

გარდა ინფრასტრუქტურული საჭიროებებისა, ექსპერტები ყურადღებას ამახვილებენ საგანმანათლებლო და განმავითარებელი რესურსების ნაკლებობაზედაც. აღსანიშნავია, რომ, რესპონდენტთა თქმით, მუნიციპალიტეტები ბიუჯეტირების პროცესში ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ზემოაღნიშნულ საკითხს და, შესაბამისად, მინიმალურია დაფინანსება, ან საერთოდ არ გვხვდება მსგავს რესურსებზე დახარჯული თანხა. წიგნებისა და სხვა განმავითარებელი რესურსების ნაკლებობა/არარსებობა, ექსპერტთა აზრით, პირდაპირ აისახება საგანმანათლებლო პროცესზე, რომელიც აღსაზრდელს ვერ უქმნის მრავალფეროვან აქტივობებში მონაწილეობისა თუ განვითარების შესაძლებლობას. გარდა ამისა, სირთულეს წარმოადგენს მეთოდოლოგიური რესურსებით ბაღების უზრუნველყოფა. ექსპერტთა თქმით, მართალია, ამ ტიპის მასალები ქართულ ენაზე არცთუ ისე ბევრია, ბაღებში ხშირად, რაც აქვთ, იმასაც არ იყენებენ. ამის რამდენიმე მიზეზი გამოიყო. ერთი მხრივ, რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ რესურსები მატერიალური სახით სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებს მუნიციპალიტეტმა უნდა მიაწოდოს, რაც დამატებით ხარჯებთან არის დაკავშირებული. ამ ეტაპზე მცირეა იმ მუნიციპალიტეტების რიცხვი, რომლებიც უბეჭდავენ და აწვდიან ბაღებს ზემოაღნიშნულ რესურსებს. მეორე მხრივ, მეთოდოლოგიური რესურსების არსებობის შემთხვევაში, მნიშვნელოვანი ცვლადია სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების პერსონალის კვალიფიკაცია, რომელიც ხშირად, ექსპერტთა დაკვირვებით, არ არის საკმარისი იმისთვის, რომ შეთავაზებული თეორიული ინფორმაცია ადეკვატურად იქნეს გადატანილი პრაქტიკაში, რომელიც მორგებული იქნება ადგილობრივ კონტექსტზედაც. შესაბამისად, ჩნდება სირთულეები როგორც მეთოდოლოგიური რესურსების შეძენის/მიწოდების, ისე დანერგვის კუთხითაც. ექსპერტთა თქმით, მნიშვნელოვანია ამ ნაწილში სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების პერსონალის მხარდაჭერა და მისი წარმომადგენლებისთვის პროფესიონალების მიერ პრაქტიკულად ჩვენება, თუ როგორ უნდა დაინერგოს სხვადასხვა აქტივობა შესაბამის ასაკობრივ ჯგუფში. თუმცა აქაც ვაწყდებით უკვე განხილულ პრობლემას, რაც გამოიხატება საჭირო რაოდენობის (განსაკუთრებით, ადგილობრივ დონეზე) კადრების არარსებობაში.

„არის რეგიონები, რომლებიც აქტიურობენ, აქტიურად ბეჭდავენ [რესურსებს], რაც გამოდის და აწვდიან [ბაღებს]. მაგრამ არის, რომ წიგნი არ უნახავთ. ახლა, ამ ბოლოსკენ, ცოტა დაიძრა ეს პროცესი. არ ვიცი, რაღაც პროექტის ფარგლებში მუნიციპალიტეტებს, მგონი, დაავალეს, რომ ყველა რესურსი დაუბეჭდონ ბაღებს. ახლა ვხედავ ასეთ ტენდენციას, სადაც ჩავდივარ, ეს ახალი კურიკულუმები ფერადად დაბეჭდილი უდევთ. ეს ახალი ამბავია. ადრე როდესაც დავდიოდით, არანაირი რესურსი არ ჰქონდათ“ (ექსპერტი).

„საგანმანათლებლო რესურსების ნაკლებობა ან არარსებობა ხშირ შემთხვევაში [არის პრობლემა]. თუ ხდება შესყიდვა, მცირე რაოდენობით. ეს რესურსი, რასაც ყიდულობენ, არ არის საკმარისი, ან არ არის განვითარების შესაბამისი. ხშირ შემთხვევაში საერთოდ აცდენილია [კონტექსტს]. 5 წლის ასაკის ჯგუფში შეიძლება ნახოთ ასაწყობი პირამიდა, რომელიც 2 წლის ბავშვებს უკვე მობეზრებული აქვთ. სრულიად შეუსაბამოა და არანაირ ღირებულებას არ წარმოადგენს. იგივე ეხება საბავშვო წიგნებსაც, ამ მხრივაც დიდი პრობლემებია“ (ექსპერტი).

სკოლამდელი განათლების დაწესებულებების როლისა და მნიშვნელობის აღქმა საზოგადოების მიერ

ექსპერტები მიიჩნევენ, რომ საზოგადოება საბავშვო ბაღებს არ აღიქვამს, როგორც სკოლამდელი განათლების დაწესებულებებს; ხალხის აზრით, ეს არის ერთგვარი უსაფრთხოდ განთავსების არე ბავშვებისთვის, სადაც მათ კვებავენ, სადაც ისინი დაცულნი არიან. საზოგადოების დიდი ნაწილი ვერ აცნობიერებს საბავშვო ბაღის საგანმანათლებლო როლსა და დანიშნულებას. ექსპერტთა ნაწილი ყველა ზემოჩამოთვლილი პრობლემის წყაროდ საზოგადოებაში გავრცელებულ სწორედ ამგვარ აღქმას მიიჩნევს. თუ ბაღი საზოგადოების წარმომადგენლების მხრიდან განიხილება ადგილად, სადაც ბავშვებს მხოლოდ უვლიან და მათზე ზრუნავენ, ეს, რესპონდენტთა ნაწილის თქმით, არ ითხოვს განსაკუთრებულ კომპეტენციას, უნარ-ჩვევებსა თუ კვალიფიკაციას; შესაბამისად, თუ არ არსებობს დაკვეთა საზოგადოების მხრიდან, განათლების ამ საფეხურზე დასაქმებული პირები ფლობდნენ მაღალ კვალიფიკაციას როგორც აღზრდის, ისე განათლების მიმართულებით, სფეროც ვერ ვითარდება.

მსგავსი დამოკიდებულება, ექსპერტთა აზრით, საბჭოთა კავშირში ჩამოყალიბდა, სადაც ბაღებს მხოლოდ ბავშვებზე ზრუნვა ევალებოდა. ამიტომ საზოგადოების აღქმაში დღემდე შემორჩა სკოლამდელი განათლების დაწესებულების, როგორც ე.წ. „დაცვის ფუნქციის“ მქონე ინსტიტუციის, გაგება. ბავშვის უსაფრთხოდ ყოფნის იმედი მნიშვნელოვანი საყრდენია მშობლისთვის, რომელიც ახორციელებს გარკვეულ ეკონომიკურ საქმიანობას. მთავარი წამყვანი საზოგადოებაში სწორედ ამგვარი აღქმაა, საგანმანათლებლო კომპონენტი კი – ეს დამატებითი სიკეთეა, და არა იმავე დატვირთვის (ან იქნებ უპირატესისაც კი) მატარებელი. თუმცა, რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ საზოგადოების მიერ სკოლამდელი განათლების ცნებაც არასწორად იქნა გაგებული, რადგან უმეტესად მიიჩნევა, რომ ამ საფეხურზე ბავშვებმა უნდა ისწავლონ წერა-კითხვა, გამრავლების

ტაბულა, სიტყვები, ფრაზები უცხო ენებზე, მაგრამ, ექსპერტთა თქმით, ეს არ არის ბაღის ფუნქცია; ბაღის საგანამანათლებლო ფუნქცია არის ბავშვის იმ უნარ-ჩვევების განვითარება, რომლებიც მას სწავლაში გამოადგება, რომლებიც სწავლისთვის საფუძველს შეუქმნის. რესპონდენტები მიუთითებენ ბავშვზე ზრუნვის ფუნქციაზე , როგორც სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტზე, თუმცა გამოწვევას წარმოადგენს სწორედ საგანმანათლებლო კომპონენტის ცნების გააზრება და მისი არსის გაგება, არა ისე, როგორც ამას ფართო საზოგადოება მოიაზრებს, ანუ მეცადინეობად და აკადემიური უნარ-ჩვევების განვითარებად; სინამდვილეში ის ჰოლისტური მიდგომების ერთობლიობაა, რომელიც უზრუნველყოფს ბავშვის ყოველმხრივ განვითარებას და მის მომზადებას სასკოლო საფეხურისთვის. სწორედ ამ პროცესში თამაში, როგორც თანამედროვე მიდგომების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი, საზოგადოების მიერ (სხვათა შორის, რესპონდენტთა აზრით, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების პერსონალის მიერაც) გაიგივებულია გართობასთან და მთლიანად ჩამოშორებული აქვს საგანმანათლებლო კონტექსტი. სინამდვილეში თამაში ბავშვს უქმნის მნიშვნელოვანი საბაზისო უნარ-ჩვევების ჩამოყალიბების საფუძველს, ხელს უწყობს მას აკადემიური წარმატების მიღწევაშიც.

ზემოაღნიშნული პრობლემა საკმაოდ კომპლექსურია და არაერთგვაროვანია რესპონდენტთა მოსაზრებებიც მისი გადაჭრის გზების შესახებ. ნაწილი ექსპერტებისა მიიჩნევს, რომ თავად სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების პერსონალი უნდა ზრუნავდეს მშობელთა განათლებასა და მათი ცნობიერების ამაღლებაზე სკოლამდელი განათლების საფეხურის და აღზრდის თანამედროვე მიდგომების შესახებ; თუმცა, მეორე მხრივ, რესპონდენტები მიუთითებენ აღმზრდელთა და მენეჯერთა დაბალ კვალიფიკაციაზე ზემოაღნიშნულ საკითხებთან მიმართებით. შესაბამისად, ექსპერტთა ნაწილი ფიქრობს, რომ ბაღის პერსონალი ამ პროცესში გარდამტეხ ფუნქციას ვერ შეასრულებს. ამიტომ მნიშვნელოვანია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს როლი, რომელმაც, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების კანონის შესაბამისად, უნდა უზრუნველყოს ამ მიმართულებით მშობელთა განათლების დონის ამაღლება. აღსანიშნავია ისიც, რომ სამინისტრო გაეროს ბავშვთა ფონდთან თანამშრომლობით უკვე ახორციელებს პროექტს, რომლის მიზანიც სწორედ ის არის, რომ მშობლებს განუვითარდეთ პოზიტიური მშობლობის უნარ-ჩვევები, თუმცა, როგორც რესპონდენტები აღნიშნავენ, ეს საკმაოდ ხანგრძლივი პროცესია.

> *„გავლენა საზოგადოებაზე – ისევ და ისევ. უმთავრესია საზოგადოების [ინფორმირება] იმის შესახებ, თუ რა მნიშვნელობა აქვს სკოლამდელ განათლებას. მე ვიცი, რომ ამ მიმართულებით მიმდინარეობს მუშაობა, მედიით გადის გადაცემები. ჩემი კოლეგებიც იღებენ მონაწილეობას. თუმცა [ეს] არ უნდა შეწყდეს, უნდა გაგრძელდეს. ამით საზოგადოება დაინახავს ბაღს, როგორც ბავშვის განვითარების მხარდაჭერის ადგილს“ (ექსპერტი).*

> *„ყველაფერს ნუ ავკიდებთ [აღმზრდელებს]. მაგალითად, კანონში განათლების სამინისტროს უწერია, რომ უნდა იზრუნოს იმაზე, რომ მშობლებს სკოლამდელი განათლების მნიშვნელობაზე გააგებინოს... აბა, შეხედეთ, რა ამბავს ატეხენ*

მშობლები, თუ დასვრილი მიდის ბავშვი ბაღიდან. რა თქმა უნდა, [ასე] უნდა მივიდეს, კარგია, ესე იგი კარგად გაატარა დრო. მაგრამ მშობლებს არ მოსწონთ და, შესაბამისად, მერე აღმზრდელიც აღარ უშვებს [ეზოში ბავშვს]. მშობელიც არ სთხოვს და ყველა კმაყოფილია. ეს მომენტები, ხომ ვიცით, რომ არის და უნდა შეიცვალოს. თქვენ ამბობთ, შეცვალოს აღმზრდელმა, რომელსაც დაბალი აქვს ხელფასი, არ აქვს დრო და ბავშვებს ვერ მიატოვებს. ანუ როდის უნდა შეხვდეს და დაელაპარაკოს მშობლებს? ცალი თვალი ბავშვებზე უჭირავს, ცალი ყბით ელაპარაკება მშობლებს. ამისთვის ყველაფერი უნდა იყოს მოწესრიგებული. არის შემთხვევები, როდესაც გადაღლილი აღმზრდელი იწყებს რეკვას, დროზე წაიყვანეთ თქვენი შვილებიო. ის [აღმზრდელი] სასწრაფოდ უნდა გამოვარდეს სამსახურიდან" (ექსპერტი).

რეკომენდაციები

კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, სკოლამდელი აღზრდის საფეხური ფართო საზოგადოებაში ჯერ კიდევ არ განიხილება განათლების საფეხურად, მაშინ, როცა ამ სფეროში ბავშვის ჩართვა მნიშვნელოვანწილად განაპირობებს მის შემდგომ განვითარებას და პირდაპირ არის დაკავშირებული შემდგომში სწავლისთვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებასთან. სააღმზრდელო დაწესებულებებისთვის მხოლოდ ზრუნვის ფუნქციის მინიჭება კი კიდევ უფრო აღრმავებს პრობლემებს, რომლებიც ხელს უშლის ეფექტიანი სერვისის შექმნას და აღსაზრდელების მიერ ხარისხიანი სკოლამდელი განათლების მიღებას. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, შესაბამისმა უწყებებმა გაითვალისწინონ ქვემოთ მოყვანილი რეკომენდაციები, კერძოდ:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს:

- კვლევებზე დაფუძნებით, სკოლამდელი აღზრდის მიმართულებით არსებული პროგრამების გამრავალფეროვნება და/ან ახლის შექმნა. შექმნილი პროგრამების მორგება ადგილობრივ საჭიროებებზე კონტექსტის გათვალისწინებით;
- პერსონალის აღჭურვა სწავლისა და განვითარების შესახებ არსებული თეორიებით, სწავლების მეთოდოლოგიითა და სტრატეგიებით, რაც შემდგომში დაეხმარება მას, ხელი შეუწყოს ბავშვზე ორიენტირებული და ბავშვის მოტივაციისკენ მიმართული სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროცესის შექმნას;
- ბაღში დასაქმებული პირებისთვის საგანმანათლებლო მეთოდოლოგიის შესახებ პროფესიული გადამზადების სერვისის მიწოდება (მასწავლებელთა სახლი და სხვ.), ასევე ტრენინგების ჩატარება მოწვეული ექსპერტების მიერ, განსაკუთრებით, უსაფრთხო გარემოს შექმნის მიმართულებით, მათ შორის, ინკლუზიური გარემოს მართვის, გენდერული თანასწორობის, რელიგიური ნეიტრალიტეტის, ტოლერანტობისა და ადამიანის უფლებების შესახებ;
- სააღმზრდელო დაწესებულებათა წარმომადგენლების გადამზადება ძალადობის საკითხების შესახებ. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ „მასწავლებელთა სახლის"

მიერ უკვე მომზადებულია აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარების ტრენინგ-მოდული, რომელიც მოიცავს ზემოაღნიშნული საკითხების განხილვას. თუმცა საკითხის მიმოხილვასა და ინფორმაციის მიწოდებასთან ერთად მნიშვნელოვანია უშუალოდ შიდა ინსტრუქციების შემუშავების პროცესში დაწესებულებების დახმარება და მონიტორინგის მექანიზმის შექმნა-დანერგვა, რათა აღნიშნული დოკუმენტი იყოს ეფექტიანი და ქმედითი;

- სასურველია საუნივერსიტეტო პროგრამებსა თუ პროფესიულ კოლეჯებში არსებული სკოლამდელი აღზრდის პროგრამის შექმნა/პოპულარიზაცია, რათა გაიზარდოს კვალიფიციური კადრების რაოდენობა აღნიშნულ სფეროში.

მუნიციპალიტეტების შესაბამის სტრუქტურებს:

- დროულად განხორციელდეს ღონისძიებები სკოლამდელი დაწესებულებების უკვე არსებული ინფრასტრუქტურული სტანდარტის დამუშავების და დამტკიცების მიზნით;
- მუნიციპალიტეტების შესაბამისი სტრუქტურების მიერ მათ დაქვემდებარებაში მყოფი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ინფრასტრუქტურული საჭიროებების შესწავლა და შესაბამისი საქმიანობების განხორციელება პრობლემების გადაჭრის მიზნით;
- ახალი თუ უკვე არსებული მუნიციპალური პროგრამებისთვის (რომლებიც ხელს შეუწყობს ბავშვთა ადრეულ განვითარებასა და სასკოლო მზაობას) საბიუჯეტო დაფინანსების ეტაპობრივი გაზრდა, ასევე სკოლამდელი განათლების პროგრამის ბიუჯეტში საგანმანათლებლო რესურსებისა და დაწესებულებების ტექნიკურ აღჭურვაზე გამოყოფილი თანხების თანდათანობით მატება;
- სკოლამდელ საფეხურზე განხორციელებული საქმიანობების მონიტორინგის ეფექტური სისტემის შემუშავება და დანერგვა როგორც ბაგა-ბაღების გაერთიანებისთვის, ასევე შიდა მონიტორინგისთვისაც (თითოეული დაწესებულებისთვის). ამ პროცესში გათვალისწინებულ უნდა იქნეს უკვე შემუშავებული სტანდარტები, რომლებსაც დაეყრდნობა შეფასების ინდიკატორები;
- ჩატარდეს სააღმზრდელო დაწესებულებების საკადრო პოლიტიკის მონიტორინგი, განსაკუთრებით მცირეკონტინგენტიანი ბაღების შემთხვევაში, რათა განისაზღვროს, რამდენად ადეკვატურია კადრებისა და აღსაზრდელთა რაოდენობის შეფარდება;

- მუნიციპალიტეტებმა მოამზადონ მათ დაქვემდებარებაში არსებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ფუნქციონირების მიმართულებით გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრების გამოყოფისა და ხარჯვის ეფექტიანობის ანალიზი; მიღებული შედეგები და რეკომენდაციები აისახოს საბოლოო ბიუჯეტში.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებს:

- აღსაზრდელების ზოგადი განათლების საფეხურზე გადასვლასთან დაკავშირებული სირთულეებისა და ბარიერების ეფექტიანად მართვის მიზნით სკოლებთან თანამშრომლობის სტრატეგიის შემუშავება და პრაქტიკაში დანერგვა;
- აღსაზრდელთა მშობლებთან თანამშრომლობითი პრაქტიკის დანერგვა კომუნიკაციის ეფექტური სტრატეგიების გამოყენებით, რაც, ერთი მხრივ, აამაღლებს შვილის/შვილების საგანმანათლებლო პროცესში მშობელთა ჩართულობის ხარისხს; მეორე მხრივ, ხელს შეუწყობს სააღმზრდელო დაწესებულებების მხრიდან მშობელთა ცნობიერების ამაღლების პრაქტიკის დანერგვას;
- სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების და ჩართული სუბიექტის მიერ გაიწეროს/დამტკიცდეს ბავშვის მიმართ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქციები. მოცემულ პროცესში მნიშვნელოვანია არა მარტო ადმინისტრაციული რგოლის წარმომადგენლების, არამედ პრაქტიკოსების/სპეციალისტების/ექსპერტების ჩართულობაც.

Challenges of Preschool Education

Short Report

The study was conducted by „Young Pedagogues' Union'' within the framework of the project „For a Better Future'' with the financial support of the organization Brot für die Welt.

Project director : **Marina Topuria**

Author of the report of the research: **Khatia Tchanishvili**

Consultor in legal matters: **Koka Kikghuradze**

Editor: **Natia Menabde**

Introduction

According to studies conducted in neuroscience, from birth till the age of six, a child has a special ability to study/learn. [1] During this period, it is immensely important to pay attention to early development and education. According to the approach of the UNESCO, taking care of early development and education does not only imply early education. This is a holistic approach that aims to ensure a child's social, emotional, cognitive and mental needs. [2] This approach of UNESCO is strengthened by the Sustainable Development Goals of the United Nations. In particular, goal 4.2, foresees that all girls and boys have access to quality early childhood development, care and pre-primary education so that they are ready for primary education. [3]

It must be noted that taking care of early childhood development and education, and providing quality services in these fields, as well as ensuring accessibility for all, are effective ways to decrease inequality and to protect vulnerable groups. It is also significant that according to the report of the Programme for International Student Assessment (PISA) conducted by the Organization for Economic Co-operation and Development (OECD), two years of early childhood education increases the chance of reaching high academic goals at the age of fifteen. [4]

Methodology

The purpose of the research is to identify factors hindering the perception and implementation of the law/standard of preschool education (as an educational level). Within the framework of the above-mentioned goal, the following issues will be emphasized:

1. Identification of different attitudes of the society towards preschool development and the level of education, by analyzing existing empirical data;
2. Evaluation of the performance of the authority/obligations of the parties involved (municipalities, The Ministry of Education and Science), based on the study of relevant documents;

[31] https://www.oecd.org/education/school/early-childhood-education-equity-quality-transitions-G20.pdf
[2] https://en.unesco.org/themes/early-childhood-care-and-education

3. Evaluation of the impact of performance/non-performance of the authorities/obligations of the involved parties on developing the attitude of society towards preschool education;

   Research methods include document analysis and interviews conducted with experts.

Documents analyzed within the study

- Law of Georgia on Early and Preschool Education;
- Reports about the quality of the studies concerning preschool education, prepared by various organizations for the last 5 years.
- Reports about the quality of the studies concerning preschool education, prepared by the apparatus of the Public Defender of Georgia for the last 5 years.
- Municipal programs aiming to assist the improvement of preschool education.

6 interviews with local and international experts were conducted in order to clarify the gaps which were identified after document analysis; and to develop relevant recommendations.

Conclusion

Taking into account the results of the research, there are challenges at the level of preschool education which hinder the feasibility to provide quality and effective educational programs to children. This in turn has a negative impact on a child's future development. Despite the positive steps (adopting the law on early and preschool education, developing different standards, and taking steps to promote the process of decentralization) taken in this direction over the years, the results show gaps that significantly restrain the effective

[3] https://unesdoc.unesco.org/ark:/48223/pf0000245656/PDF/245656eng.pdf.multi
[4] https://www.oecd.org/education/school/early-childhood-education-equity-quality-transitions-G20.pdf

performance of the foundation of the educational system and cannot provide a quality preparation for children to move to the next level of education.

Poor financing is one of the most important challenges that hinder the process of development of preschool education. In spite of the fact that education is declared a priority at the level of municipalities, the funds allocated for the development of preschool education are minimal and are mainly focused on the replenishment of salary funds. This raises a reasonable doubt that even in the condition of a small budget, priorities cannot be assigned correctly, because the funds allocated for the purchase of teaching resources or for the training of kindergarten staff are minimal (or even zero). Therefore, the qualification of kindergarten employees is low and there is a deficit in the use of correct pedagogical strategies in practice, which prevents development of an environment that is adapted to the needs and requirements of children.

A proper system of management should be another guarantee of the realization of this level of education, however, there are important challenges in this regard as well. According to the revealed data, there are none or ineffective mechanisms of monitoring and control, used by local government structures and the administrations of the kindergartens. Consequently, in the absence of a systematic approach, one cannot identify the specific indicators that really hinder the solving of the problems in the field of education. Elaboration and implementation of modern educational programs are prevented by mistakes made in collecting and analyzing the data (or the absence of this process). Another barrier in this process, is the lack of research practice at municipal level, which (if one existed) would be an important lever in the creation and implementation of quality programs.

The above-mentioned problems (they are just a part of the challenges existing at the level of preschool education) further promote the perception of kindergarten as not an educational institution, but an institution that only has the function of caring and nursing. Stated perception is already deeply rooted in society. Children's parents, kindergarten employees and other members of society do not perceive preschool education as a part of the educational process; As a result, ensuring the continuity of education becomes impossible and this hinders the achievement of the national goals of education.

Main Findings

- The results of the monitoring (2016-2020) conducted by the apparatus of the Public Defender of Georgia at the preschool education level shows that little positive changes have been made in this direction over past years. This is confirmed by the list of problems, which in the monitoring reports instead of decreasing, continues to increase over the years; And also, by the fact that local government does not take the recommendations prepared by the apparatus of the Public Defend into account.
- Although the rate of participation at the level of preschool education has been increasing since 2005, this cannot determine the high quality of service provided at this level of education. According to studies, this is mainly related to the exemption from tax for preschool education level and to the increase of employment rate in parents within regions.
- According to experts, despite the high rate of participation, the accessibility to preschool education is low in regions inhabited by national minorities. The language barrier is one of the most important factors causing this problem.
- According to studies and assessment reports, the infrastructure of kindergartens remains an important challenge. This is true not only for old, damaged or non-standard buildings, that does not meet the minimum requirements for child development, but for newly built buildings as well. New buildings are intended for kindergartens, but principles, which must be taken into account during the construction process of such buildings, are violated.
- At the legislative level, i.e. among the quality standards or technical regulations approved under the Law on Early and Preschool Education, there is no standard on infrastructure. This standard is already developed, but cannot be approved, because under the conditions of approval of the standard, a large number of kindergarten buildings will not be able to meet the criteria set by this standard.
- As various studies confirmed the facts of violent behavior, infrastructure challenges are not the only problem and children's psycho-emotional stability is under threat. In addition, identifying violence against children by the personnel of preschool and education institutions and referring these facts to the relevant structures is a rare event.
- In the condition of different challenges (including: lack of knowledge related to child's development and general thematic directions, lack of knowledge related to strategies for working with children with special needs and management of difficult behavior, low qualification of revealing violence against children, lack of age-appropriate inventory, etc.), which are reflected in the monitoring and evaluation

reports prepared by the apparatus of the Public Defender of Georgia, it is clear that for responsible institutions/structures, especially for the local government, control of physical safety and hygienic issues in preschool institutions is a priority. These factors are related to the physical safety and satisfaction of children's basic needs. On the other hand, less attention is given to educational and thematic directions, as they are not part of primary/basic needs.

- The qualification of kindergarten staff is low. Based on various studies, the majority of employees at this level do not have the necessary competencies to carry out pedagogical and educational activities. As in most cases teachers or caregivers do not use valid pedagogical strategies, children's rights to education are violated. In process of a child's socialization, this creates the danger that the child may develop an incorrect system of values.
- Low salaries at the level of preschool education are not attractive to new staff and this fact hinders the recruitment of qualified new employees in this field. Additionally, at the university level, there are still few (or non-existent) relevant bachelor's and master's programs that provide training for the personnel with academic backgrounds.
- According to the public information, received from municipalities, the rate of providing professional development training module to kindergarten employees is low. In the requested materials it is said that the training of caregivers is planned for the following years. However, it should be noted that, according to the professional standard of kindergarten caregiver-pedagogue, by September 1st, 2024 activities should be carried out. These activities will help the employees or those who want to be employed in the kindergarten to meet the requirements stated in the standard.
- Based on the information received from municipalities, the number of caregivers who have not undergone any kind of training in the last three years is quite large. And the training services that caregivers or the kindergarten employees received, were mainly suggested by non-governmental organizations within various projects. Municipalities and, in general, responsible entities rarely implement/offer support and qualification-raising measures for representatives of preschool education.
- Over the last three years in institutions of preschool education the number of children has been decreasing, while the number of employees has been increasing.
- There are almost no municipal programs, which aim to make the service of preschool education better in terms of management and program improvement.
- Because of the low qualification of the employees, existing training programs cannot be implemented effectively. Foster children do not receive quality education;

Therefore, studies show that participation in preschool education does not necessarily guarantee that Georgian children will have better results at school.

- Existing problems were exacerbated during the pandemic when, according to studies, the kindergartens stopped functioning because the staff had no experience of working in such conditions. In addition to the lack of methodological knowledge, there was no digital and technological experience that would make it possible to manage the process remotely. It must also be noted that support in this direction was minimal at a local level as well as from central authorities. Under the conditions of the pandemic, the issues of preschool education were not included in the crisis management plan developed by the Ministry of Education, Science, Culture and Sports.
- According to experts, pedagogical education is not an obligatory requirement in the qualification for the head of the institution of preschool education, which hinders this official's perception of the context of the educational institution.
- Experts give positive feedback to the developed caregiver-pedagogue training module. However, attending the training is not considered to be the only leverage for improving qualifications. It is important to implement acquired theoretical materials into practice, directly in the educational process.
- Measuring the real positive results of the caregiver-pedagogue training module and its evaluation by experts will be possible through a properly planned monitoring process, which will be oriented on support.
- According to experts, local self-governments were given the exclusive right to manage early and preschool education and institutions when there was almost no readiness for this responsibility. Even though various supporting programs were implemented since then, they are still not enough and at the local level cannot ensure the training of qualified personnel, who will implement positive changes in this direction.
- The qualification of employees working in the management agencies of municipal nurseries is also very low. During the process of requesting public information, it became clear that some of them do not have computer skills. Experts who work in this field think that the employees of the agency are not qualified enough to enhance the quality of preschool education.
- According to experts working in this field, the degree of autonomy of preschool education institutions is low and local municipalities do not promote initiatives from educational institutions of this level.

Recommendations

Based on the results of the studies, society does not consider the preschool level as an educational level, while the child's involvement in this field significantly determines further development and is strongly related to acquiring skills needed for further learning. Assigning only the caring function to preschool institutions deepens the problem and hinders creating of effective service and quality preschool education for children. Therefore, relevant agencies should take the following recommendations into account. In particular:

To the Ministry of Education and Science of Georgia:

- Diversification of existing preschool education programs and/or creating new ones, based on studies. Adapting created programs to local needs and taking the context into account;
- Equipping the employees with existing theories about learning and development, teaching methodology and strategies, which will further help them to create a child-oriented and child-motivated educational process;
- Provision of professional training services („Teachers House" and etc.) to kindergarten employees concerning educational methodology. Also, trainings conducted by invited experts, especially about safe environment, managing inclusive environment, gender equality, religious neutrality, tolerance and human rights;
- Training the representatives of educational institutions on issues of violence. It must also be noted that „Teachers House'' has already prepared a training module for the professional development of caregivers-pedagogues, which includes a discussion of the above-mentioned issues. However, along with the review of the issue and the provision of information, it is important to directly assist the institutions in the process of developing internal instructions as well as to create and implement a monitoring mechanism so that the said document is effective and efficient;
- In order to increase the number of personnel in the mentioned field, it is recommended to create/promote preschool education programs in university programs or professional colleges.

To the relevant structures of municipalities:

- Developing and implementing a strategy of cooperation with schools in order to effectively manage the difficulties and barriers related to the transition of children to the level of general education;
- Studying the infrastructural needs of preschool educational institutions under their jurisdiction by the relevant structures of the municipalities and carrying out relevant activities to solve the problems;
- Gradual increase of budgetary funding for new or already existing municipal programs (that will contribute to children's early development and readiness for school), also a gradual increase of funds allocated for educational resources and technical equipment of institutions in the preschool education program budget;
- Developing and implementing an effective system for monitoring activities at preschool level, for the union of nurseries as well as for internal monitoring (for each institution). In this process, already developed standards, which will be the base of evaluation indicators, should be taken into account;
- Monitoring the personnel policy of preschool educational institutions. Especially in the case of kindergartens with a small contingent, in order to determine the adequacy of the ratio of personnel and children;
- Municipalities should prepare an analysis of the effectiveness of allocation and spending budgetary funds allocated for the functioning of early and preschool education institutions under their jurisdiction; Results and recommendations should be reflected in the final budget.

To preschool education institutions:

- Developing and implementing a strategy of cooperation with schools in order to effectively manage the difficulties and barriers related to the transition of children to the level of general education;
- Using an effective communication strategy for implementing cooperative practices with children's' parents. This will on the one hand increase parents' involvement and on the other hand, will contribute to the implementation of the practice of raising parents' awareness by educational institutions;
- Preschool and educational institutions as well as parties involved should write/assert internal instructions related to child abuse. In this process, it is important to involve not only representatives of the administrative circle, but practitioners/specialists/experts as well.